პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და მინისტრთა საბჭოს ორგანო

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

№ 77 (18619) შაბათი, 2 აპრილი, 1983 წელი ფასი 3 კაპ.

ᲡᲙᲙᲨ ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘᲡ ᲞᲝᲚᲘᲢᲑᲘᲣᲠᲝᲨᲘ

სკკშ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს მორიგ სხდომაზე მიღებულ დადგენილება „რსდმპ მეორე ყრილობის 80 წლისთავის შესახებ". დადგენილების ტექსტი პრესაში გამოქვეყნდება.

სკკშ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს განიხილა და მოიწონა სკკშ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ი. ვ. ანდროპოვისა და ნიკარაგუის მთავრობის ხელმძღვანელი სანდინოს კოორდინატორის დ. ორტეგას საუბრის შედეგები. განხილვის დროს პოლიტბიუროს სანდინოთა კავშირის მშრომელთა ხოლიდარობა გამოუცხადა ნიკარაგუის ხალხის ბრძოლას ამ დამოუკიდებელი სახელმწიფოს საშინაო საქმეებში იმპერიალისტური ჩარევის წინააღმდეგ. დასახულია სანდინოთა კავშირ-ნიკარაგუის მეგობრული ურთიერთობის შემდგომი განვითარების ღონისძიებანი.

მოწონებულია ამხანაგების ი. ვ. ანდროპოვისა და ა. ა. გრომიკოს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურ მდივანთან ხ. პერეს დე კუელიართან შესვედრების შედეგები.

სხდომაზე მოისმინეს სკკშ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ნ. ა. ტიხონოვის ინფორმაცია იუგოსლავიის სოციალისტურ ფედერაციულ რესპუბლიკაში მისი ოფიციალური ვიზიტის, აგრეთვე იმ ხაუბრების შესახებ, რომლებიც ამხ. ნ. ა. ტიხონოვმა გამართა ლიბიის დელეგაციასა და მის მეთაურთან — ლიბიის რევოლუციური ხელმძღვანელობის წევრთან ა. ს. ჯელუდთან.

შემდეგ სკკშ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს განიხილა საკითხი სასოფლო-სამეურნეო მანქანა-მოწყობილობის ტექნიკური დონისა და ხარისხის შემდგომი ამაღლების, გამოყენების გაუმჯობესების, 1983-1990 წლებში მისი წარმოებისა და მიწოდების გადიდების ღონისძიებათა შესახებ. როგორც ამ საკითხის განხილვისას აღინიშნა, უკანასკნელი თხუთმეტი წლის მანძილზე მნიშვნელოვნად გაიზარდა კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობებისათვის მანქანების მიწოდება, თვისებრივად განახლდა მანქანა-ტრაქტორთა პარკის შემადგენლობა, ერთიანამად და მეტად გაიზარდა სასოფლო-სამეურნეო შრომის ენერგოიარაღურა. ამასთანავე სოფლის მეურნეობისათვის გამოშვებული ზოგიერთი მანქანა-მოწყობილობა ჯერ კიდევ სრულად არ შეესაბამება თანამედროვე მოთხოვნებს, არ არის საკმარისი ამ დარგში ცალკეული სამეცნიერო-კვლევითი და საკონსტრუქტორო ორგანიზაციების მუშაობის შედეგიანობა. პოლიტბიუროს მოიწონა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მიერ წარმოდგენილი სამუშაოთა პროგრამა, რომელიც ითვალისწინებს, რომ 1986-1990 წლებში გამოშვებულ იქნეს ტრაქტორები, ტრაქტორის მისაბმელები, ეკსკავატორები, ბულდოზერები, სკრეპერები, სატვირთო ავტომობილები, მანქანები, რომლებიც დაკამაყოფილებენ მეწველარეობის, მეცხოველეობისა და საკვებწარმოების მოთხოვნილებებს. დასახულ ღონისძიებათა რეალიზაცია შესაძლებლობას მოგვცემს მნიშვნელოვნად ავამაღლოთ სასოფლო-სამეურნეო მანქანების ხარისხი და გავაუმჯობესოთ მათი მიწოდება, რათა ძირითადად დამთავრდეს მიწათმოქმედებისა და მეცხოველეობის კომპლექსური მექანიზაცია, რაც სსრ კავშირის სასურსათო პროგრამით არის გათვალისწინებული.

სკკშ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს განიხილა 1984-1990 წლებში სამრეწველო, კომუნალური და კულტურულ-საყოფაცხოვრებო მშენებლობის დაჩქარების ღონისძიებათა შესახებ. ამ საკითხზე მიღებულ დადგენილებაში სკკშ ცენტრალურმა კომიტეტმა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ განსაზღვრეს ავტონომიურ რესპუბლიკაში საცხოვრებელი სახლების, საავადმყოფოების, სკოლებისა და სკოლამდელ ბავშვთა დაწესებულებების მშენებლობის მნიშვნელოვანი ზრდის, მოსახლეობის კომუნალურ-საყოფაცხოვრებო მომსახურების გაუმჯობესების დავალებანი.

სკკშ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს სხდომაზე განიხილეს აგრეთვე ზოგიერთი სხვა საკითხი, რომლებიც ეხებოდა სამეურნეო და სოციალურ-კულტურულ მშენებლობას, მომძლე სოციალისტურ ჭეშეყნებთან თანამშრომლობის განმტკიცებას, საბჭოთა კავშირის მშვიდობისმოყვარული საგარეო პოლიტიკის თანამიმდევრულ განხორციელებას.

ᲓᲘᲠᲗᲡᲐᲮᲡᲝᲕᲐᲠᲘ ᲬᲚᲘᲡᲗᲐᲕᲘ

საბჭოთა და უნგრელი ხალხების მჭიდრო ურთიერთობას ახასიათებს საერთო რევოლუციური ტრადიციები, მარქსიზმ-ლენინიზმისა და პროლეტარული ინტერნაციონალიზმის პრინციპების ურყევი ერთგულება. ეს ხაზგასმით აღინიშნა 1 აპრილს მოსკოვის მშრომელთა წარმომადგენლების საზეიმო კრებაზე, რომელიც მიეძღვნა ფაშიზმისაგან უნგრეთის განთავისუფლების 38 წლისთავს.

გამოსულმა ამხანაგებმა აღნიშნეს, რომ საბჭოთა ადამიანები იზიარებენ უნგრელი ხალხის კანონიერ სიამაყეს განვითარებული სოციალისტური საზოგადოების მშენებლობაში მისი მიღწევებისთვის.

უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის მოსკოველმა ელჩმა შ. რაინაიმ ხაზი გაუსვა, რომ აღმშენებლობითს საქმიანობაშე უნგრელი ხალხის ძლიერების წყაროს, მის შემდგომ წარმატებათა უმნიშვნელოვანეს საწინდარს შეადგენს უნგრეთის სოციალისტური მუშათა პარტიისა და საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის, უნგრეთის სახალხო რესპუბლიკისა და სსრ კავშირის ძმური მეგობრობა და მრავალმხრივი ნაყოფიერი თანამშრომლობა. (საკდესი).

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲐᲚᲙᲙ ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘᲡ ᲞᲚᲔᲜᲣᲛᲘ

გაიმართა საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის პლენუმი, რომელმაც განიხილა ორგანიზაციული საკითხები.

პლენუმმა საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნისა და ბიუროს წევრობის მოვალეობისაგან გაათავისუფლა ი. ნ. ორჯონიკიძე სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის მდივნად მისი არჩევის გამო.

პლენუმმა საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის პირველ მდივნად აირჩია ვ. გ. ლორთქიფანიძე და გაათავისუფლა იგი საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის მეორე მდივნის მოვალეობისაგან.

საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის მეორე მდივნად პლენუმმა აირჩია ი. გ. ჯიქურაშვილი და გაათავისუფლა იგი საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის მდივნის მოვალეობისაგან.

საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის მდივნად პლენუმმა აირჩია ჯ. ვ. მარგველაძე, რომელიც საქართველოს ალკკ თბილისის საქალაქო კომიტეტის პირველ მდივნად მუშაობდა.

პლენუმმა ს. ვ. ბალიფშა გაათავისუფლა საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის ბიუროს წევრის მოვალეობისაგან საქართველოს კომპარტიის ოჩამჩირის რაიკომის პირველ მდივნად მისი არჩევის გამო.

პლენუმმა საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის ბიუროს წევრად აირჩია ნ. ნ. აშუბა — საქართველოს ალკკ აფხაზეთის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი.

პლენუმმა ა. ვ. მემანიშვილი გათავისუფლა საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის სტუდენტთა სამშენებლო რაზმების რესპუბლიკური შტაბის მეთაურის მოვალეობისაგან პარტიულ სამუშაოზე გადაყვანის გამო.

პლენუმზე სიტყვა წარმოთქვა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მეორე მდივანმა გ. ვ. კოლბინმა.

პლენუმის მუშაობაში მონაწილეობდნენ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ორგანიზაციულ-პარტიული მუშაობის განყოფილების გამგე ვ. კ. შარტავა, სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის პასუხისმგებელი მუშაკები ვ. ი. პორტნოვი და ვ. ს. მოლოდცოვი.

ᲓᲘᲐᲚᲝᲒᲘ ᲛᲨᲕᲔᲜᲘᲔᲠᲘ ᲛᲝᲛᲔᲓᲐᲜᲖᲔ

ᲩᲕᲔᲜᲡ ᲗᲕᲐᲚᲬᲘᲜ: ᲩᲕᲔᲜᲗᲕᲘᲡ ᲓᲐ ᲡᲐᲣᲕᲘᲚᲘᲨᲕᲘᲚᲝᲓ



თბილისელობა პროფესიააო! — უთქვამთ. ბუნებრივია, ყველას თავისი ქალაქი უყვარს! — ალბათ, კიეველიც ამასვე დაიქადნებს და ერევნელიც... ამ ქარაგმული გამოთქმის არსიც და ასოციაციური ქარგიც იმით თავმოწონებაა, რისი პატრონიც ხარ, რაც სიყვარულით მოფრთხილებას, ქალაქზე დღენიადაგ ზრუნვას, მის მომავალზე ფიქრსა და თავის შეწუხებას ნიშნავს. ამ მოქალაქეობრივ დეკვიზს ახასიათებს — თითოეულისთვის და ყველასათვის — ჩემი და საყოველთაო.

დრომ მოიტანა და, სწორედ გულისმიერმა პროფესიამ უკარნახა ჩვენს თანამედროვეთ მოეგვარებინათ ჩვენი დედაქალაქის ერთ-ერთი უმთავრესი პრობლემა, რომელიც არაერთ თაობას აწუხებდა.

* * *

...თითქმის ორი წელიწადია წუთითაც არ ცხრება მშენებლობის თავდაპირველი რიტმი ჩვენი დედაქალაქის შუაგულში — სასტუმრო „ივერიის" წინა მოედანზე. ყველას აქეთკენ გაურბის თვალი, ყველა მოუთმენლად ელოდება — რა შენდება, როგორი აშენდება?!..

მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნულ მშენებლობაზე ხშირად იწერება პრესაში, ეწყობა ტელე თუ რადიოგადაცემები, საზოგადოებრიობის საერთო ინტერესი კვლავაც დიდია, რაც, სავსებით ბუნებრივია, ხალხს აინტერესებს მშენებლობასთან დაკავშირებული ყოველი წვრილმანიც კი და, რაც მთავარია, ის, თუ რა სახეს მიიღებს საბოლოოდ მოედანი, როგორ შეერწყმება იგი ქალაქის საერთო არქიტექტურას.

საზოგადოების ამ დიდი ინტერესისა და სურვილის გათვალისწინებით „კომუნისტის" სპეციალური კორესპონდენტი **ლაშა გასხარია** უშუალოდ მშენებლობაზე ეწვია თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის მოადგილეს მშენებლობის დარგში **ირაკლი არობელიძეს** და სთხოვა, განმარტა მოედნის რეკონსტრუქციასთან დაკავშირებული რამდენიმე ძირითადი საკითხი.

კორესპონდენტი:— თბილისის ცენტრის განვითარება ითვალითვე დინამიკურად ხდებოდა — ძველი ქალაქიდან, იგივე ორთაჭალიდან ვიდრე ლენინის მოედნამდე, შემდგომ კი თვით რუსთაველის პროსპექტსა და დახავლეთით — სპორტის სასახლის წინა მოედნისკენ. რამ განაპირობა საბოლოო არჩევანი? ხმაგვარად და მოკლედ რომ ვთქვთ, რატომ მაინცდამაინც აქ?..

ი. არობელიძე: — მეც რომ მოკლედ გიპასუხოთ, უპირველეს ყოვლისა — **სატრანსპორტო კვანძის** მოსაგვარებლად. თითქმის ნახევარი საუკუნეა, რაც ეს საკითხი ერთობ მწვავედ იდგა ქალაქისა და ქალაქელების წინაშე. ყველა გეგმა და სამგზის ჩატარებული კონკურსებიც მუდამ ითვალისწინებდა რუსთაველის პროსპექტის თავში სატრანსპორტო კვანძის სრულფასოვნებას თუ არა, ძირეულ გაუმჯობესებას მაინც. მაგრამ ეს მიზანი განუხორციელებელი რჩებოდა იმის გამო, რომ თითოეულ პროექტსა თუ ცალკეულ წინადადებაში იგულისხმებოდა უზარმაზარი ნგრევითი სამუშაოები. ადრინდელი პროექტებით, და მათ შორის ყველაზე „ლმობიერითაც" კი, უნდა აღგვილიყო პირისაგან მიწისა თითქმის მთელი განაშენიანება კოლმეურნეობის მოედნიდან (ძნელაძის ქუჩის მძლავრი გაფართოებით), ვიდრე რუსთაველის ძეგლამდე, აქედან კი ფილარმონიამდე — ლენინის ქუჩის მთელი მარჯვენა მხარის ჩათვლით. ნგრევაში ჰყვებოდა № 37 სახლიც, თბილისში მელიქ-კაზარიანცის სახლს რომ ეძახიან და რომლის პროექტი თბილისში მცხოვრებ და მოღვაწე არქიტექტორს ობოლონსკის ეკუთვნოდა. ეს ნაგებობა, იმხანად მთელ მსოფლიოში გავრცელებული, „მოდერნის" სტილის თვალსაჩინო ნიმუში გახლავთ.

თქვენ წარმოდგინეთ, იყო ასეთი წინადადებაც: ტრანსპორტის მოძრაობა შეზღუდულიყო, საკუთარი მანქანების ძირითად გზასაზე გავლის აკრძალვის გზით. ამას, რა თქმა უნდა, ჩვენ ვერ დავუშვებდით, რადგან, გასაგებია, თბილელებს უკმაყოფილებას გამოიწვევდა, — თეატრები, ფილარმონია, აკადემია, ტელეგრაფი, სასტუმრო და ა. შ. მიუდგომელი იქნებოდა მათთვის.

პროექტი, რომელიც თბილისქალაქპროექტის № 7 სახელოსნოში დამუშავდა რესპუბლიკის დამსახურებული არქიტექტორის ოთარ კალანდარიშვილის ხელმძღვანელობით (ავტორთა ჯგუფი — გ. ფოცხიშვილი, თ. ჯანჰალიშვილი, გ. ჩუბინაშვილი, ი. მოსესშვილი, ლ. გიორგობიანი, მ. ბალარჯიშვილი, ნ. ქუმსიაშვილი) და ამავე ინსტიტუტის საინჟინრო სექტორის მონაწილეობით, აღმოჩნდა ყველაზე ოპტიმალური, რომელმაც დადებითი პასუხი გასცა მოედნის რეკონსტრუქციასთან დაკავშირებულ არა მარტო სატრანსპორტო, არამედ თითქმის ყველა ფოლადის მისაღებად. ყველა ამ სიკეთესთან ერთად, გამორჩევა კარგი მექანიკური თვისებებით, მაღალი თმომედეგობით და ელექტრული წინაღობის უნარით. ეროი სიტყვით, შეიძლება გამოყენებულ იქნეს მრეწველობის მრავალ დარგში.

„ნაკლი მაინც ახლავს ამ ძვირფას შენადნობს. საქმე ის არის, რომ მისი მიღების ტრადიციული ტექნოლოგიური მეთოდი ძვირადღირებულია. შენადნობის მისაღებად აუცილებელია მანგანუმს დავუმატოთ კაჟბადი და ლითონი, არანაკლებ საარსებო საკითხს.

არქიტექტორთა, კონსტრუქტორთა, მშენებელთა და ტრანსპორტის მუშაკთა ჯგუფი, რომელიც პროექტზე წლების მანძილზე მუშაობდა, მართლაც რომ მოქალაქეობრივი, ჰეშმარიტი პროფესიული გულისხმიერებითა და სიფაქიზით მოეკიდა საქმეს.

პროექტით, რომლის მიხედვითაც შენდება მოედანი, ნგრევითი სამუშაოები მინიმუმამდეა შემცირებული, ეფექტი კი, მოედნის ულამაზესი იერსახის შექმნასთან ერთად, მაქსიმალურია!

მივყვეთ თანამიმდევრობით.

მაშ ასე, უპირველესად იმაზე, რომ წარმატებით, თითქმის უმტკივნეულოდ წყდება მთავარი: სატრანსპორტო კვანძის საკითხი. მოგეხსენებთ, ქალაქის ეს უბანი ძალზე გადატვირთულია ავტოტრანსპორტით. აქ ავტოსატრანსპორტო გამტარუნარიანობა საათში 2.500 ერთეულს არ აღემატებოდა. მშენებლობის დამთავრების შემდეგ ეს სატრანსპორტო კვანძი საათში 5.000-ზე მეტ ავტომანქანას გაატარებს, ერთი სიტყვით, იმდენს, რამდენსაც ქალაქის საჭიროება მოითხოვს. აქ ისე მოწესრიგდება მოძრაობა, რომ ადრე ვერც კი წარმოვიდგენდით. ძნელაძის ქუჩა უკვე შეუერთდება ელბაქიძის დაღმართის მიწისქვეშა გვირაბით და ამ მაგისტრალზე შეუფერხებლად მოძრაობს ავტოტრანსპორტი. მომავალში, დამატებითი მიწისქვეშა გვირაბით, ლენინის ქუჩაც მტკვრის მარჯვენა სანაპიროს შეუერთდება ელბაქიძის დაღმართის გავლით. ასე რომ, მივიღებთ სამდონიან სატრანსპორტო ესტაკადას. უკეთესი მომავალი ელის გრიბოედოვის ქუჩასაც.

ძნელია წინასწარ დაიანგარიშო მოგება და სიკეთე, ამ მნიშვნელოვანი სახალხო-სამეურნეო ამოცანის გადაწყვეტას რომ მოჰყვება.

ახლა მეორე და — მე თუ მკითხავთ, არც ერთ სხვა საკითხზე ნაკლები თავისი შედეგიანობითა და დანიშულებით, — ეს გახლავთ ქალაქთმშენებლობისათვის ისევითი, სამაგალითო გამოცდილება: **დიდი მიწისძვრაა სიმრცეებზე** ხელოვნურად შექმნა და ათვისება.

მართლაც, ბედნიერი, შესანიშნავი მიგნება გახლავთ.

ამ შემთხვევაში დამპროექტებლებმა ხერხიანად გამოიყენეს მოედნის რელიეფი, — არსებული ხევი, რომელიც, მომიტევეთ ფა, დროთა მანძილზე ერთ დიდ და უსარგებლო, დანაგვიანებულ ორმოს წარმოადგენდა, ქვითა და ღორღით კი არ მოაპირთავეს, არამედ შექმნეს სამსართულიანი ესტაკადა, რომელმაც, თავის მხრივ, ქალაქს მისცა უზარმაზარი მიწისქვეშა ტერიტორია — 23.000 კვადრატულ მეტრზე მეტი ფართობი. არქიტექტორთა ამ მიგნების წყალობით, რესპუბლიკის მრავალმა სამინისტრომ და უწყებამ ბევრად იაფად მიიღო მათთვის ესოდენ საჭირო ფართობი. აქ განლაგდება საავაჭრო ობიექტები, კინოთეატრი, საგაზოფენო დარბაზები მხატვრობისა და ფოტოხელოვნებისათვის და სხვა საყოფაცხოვრებო დანიშულების პუნქტები. მათი ჩონჩხი უკვე აშენებულია და მოპირკეთებითი სამუშაოებიღა დარჩა.

თქვენს ყურადღებას მივაქცევ იმასაც, რომ თითოეული ამ ობიექტის ცალ-ცალკე ქალაქში აშენება ორ-სამჯერ ძვირი დაგვიჯდებოდა, ვიდრე ახლა, თანაც ასე კომპლექსურად.

კიდევ ერთი საორიენტაციო და ზემოთქმულის თვალსაზრისით ნიშანდობლივი შედარება: გმირთა მოედნის რეკონსტრუქციის ‘ავალობაზე, რომელმაც, როგორც მოგეხსენებთ, ფაქტობრივად მხოლოდ გამტარუნარიანობისა და ადგილის ვიზუალური აღქმის მომენტები მოიცვა, ჩვენი მშენებლობა გაცილებით ეკონომიური და ეფექტურია.



კორესპონდენტი: — არ დაგიმალავთ და, ვიჩქარი, გავიგო რაიმე თვითონ ახალი მოედნის შესახებ, და თქვენი მეშვეობით მივაწოდო მკითხველს მისი დახასიათება.

ი. არობელიძე: — თანამიმდევრულად-მეთქი ხომ შევთანხმდით:

მოედანი მართლაც უნიკალური გვექნება. დავიწყოთ იმით, რომ საბჭოთა კავშირში თბილისი, ვგონებ, ერთადერთი დედაქალაქია, რომელსაც დღემდე არა აქვს მასშტაბური, ყოველმხრივ ხელსაყრელი ცენტრალური, თავვარი მოედანი. კომპეტენტურ სპეციალისტთა აზრით, და მათ შორის პროფესიონალ სტუმართა თვალითაც, ჩვენი ახალი მოედანი ერთ-ერთი ორიგინალური და მაღალმხატვრული კომპლექსი იქნება არა მარტო ჩვენში... და უწინარეს ყოვლისა, თავისი ფუნქციური დატვირთვით. ეს იქნება სახალხო ზეიმების, დემონსტრაციებისა და პარადების, მანიფესტაციების, მასობრივ სანახაობათა მოწყობის ადგილი.

კორესპონდენტი: — მოედანს ამ მხრივ რაიმე საგანგებო ღირსება თუ აქვს?

ი. არობელიძე: — დიახ, თუნდაც ის, რომ ნებისმიერ დროს შეიძლება მისი გამოთიშვა ქალაქის ტრანსპორტის მოძრაობიდან. ალბათ, ხვდებით, რასაც ვგულისხმობ. საღამოობით, ბნეგავთ, უქმე დღეებში, დღესასწაულებისა თუ სახალხო სეირნობებისას, მოედანი მთლიანად შეგვიძლია დავუთმოთ ქვეითებს. და ეს ისე, რომ ტრანსპორტის მოძრაობას ხალი არ შეეშალოს. მსგავსი რამ ჩვენი დედაქალაქის სხვა მოედნებზე რომ მოვისურვოთ, მთელ მათს მიმდებარე რაიონებში მთლიანად პარალიზებული იქნება ტრანსპორტის მოძრაობა.

ამის ფონზეც აშკარად ჩანს, თუ რა დიდი საზოგადოებრივი და ქალაქთმშენებლობითი ფუნქცია დაეკისრება ამ მოედანს, რა მნიშვნელოვან როლს შეასრულებს იგი ჩვენი დედაქალაქის ცხოვრებაში. თანდათან გამოიკვეთა მოედნის არქიტექტურული სახე, მიუხედავად ასეთი დიდი, თავისუფალი სივრცისა, იგი კარგად ჩაერთო ქალაქის ერთიან მასშტაბში, მოერგო მის ამფითეატრად გადაშლილ მარჯვენა სანაპიროს.

კორესპონდენტი: — როგორც ვიცით, მოედანს, თუ შეიძლება ასე ვუწოდოთ, ღია ცისქვეშა ბაქანიც იქნება. რა ფუნქციას შეასრულებს იგი?

ი. არობელიძე: — ეს ერთგვარი სცენა-ბაქანი, რომლის საერთო ფართობი 250 კვადრატულ მეტრს აღემატება (მასზე თავისუფლად დაიტევა 500-600 კაცი), მართლაც განუმეორებელი იქნება. ვგონებ, მსგავსი არსად არ უნდა იყოს. იგი მოედნის მთელ სამსართულზე იმოძრავებს და უზარმაზარ სამსახურს გაგიწევს თეატრალური წარმოდგენების, სხვადასხვა სახის გამოფენა-ექსპოზიციების, სპორტული აღლუმებისა თუ სხვა სანახაობრივი ღონისძიებებისას.

კორესპონდენტი: — არქიტექტორებმა, თავიანთი მოხერხებული პროექტით, დანგრევას გადაარჩინეს ზეიმოხსენებული № 37 სახლი. როგორ გამოჩნდება მისი უკანა ხედი მოედნიდან?

ი. არობელიძე: — გადარჩენასთან ერთად, მათ საშუალება მოგვცეს, მთლიანად გაგვეხსნა აღნიშნული სახლის დასავლეთი ხედი. ეზოს მხრიდან სახლის ფასადი სპეციალური ოქროსფერი სარკისებრი მინის ეკრანით დაიფარება, რომელზეც აირეკლება თაღედი და მოედანი, ნაწილობრივ ცა და ქალაქის შორეული ხედიც. ესეც თავისებურ შთაბეჭდილებას ტოვებს. ეს ეფექტი ალბათ, ერთ-ორ კვირეულ ექსპერიმენტებს, ანალიზებს, ექსპერიმენტებს, ანალიზებს, ექსპერიმენტებს, ანალიზებს,

ყველანაირი გემოვნებისათვის, საჭირო მოცულობით, მაღალხარისხოვანი

რესპუბლიკის პარტიულ-სამეურნეო აქტივის კრება

30 მარტს გაიმართა საქართველოს პარტიულ-სამეურნეო აქტივის კრება, რომელშიც მოხსენა და განიხილა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატის, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის ე. ა. შევარდნაძის მოხსენება „სახალხო მოხმარების საქონლის წარმოების მდგომარეობა და მისი გადიდების, ასორტიმენტის გაფართოების და ხარისხის გაუმჯობესების ღონისძიებანი სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1982 წლის ნოემბრის პლენუმზე ამხანაგ ი. ვ. ანდროპოვის მიერ დასახულ ამოცანათა მიხედვით“.

კრება, რომელშიც მაღალ ორგანიზაციულ და იდეურ-პოლიტიკურ დონეზე, პრინციპული კრიტიკისა და თვითკრიტიკის ვითარებაში ჩაიარა, გაზდა რესპუბლიკის ცხოვრების ნაირფეროვნებისა და მოვლენა მასობრივი მოთხოვნის საქონლის წარმოების შემდგომი გადიდებისა და ხარისხის გაუმჯობესების საქმეში. მან დასახა ამ მიმართულებით პარტიული და სამეურნეო ორგანიზაციების საქმიანობის სრულყოფის კონკრეტული გზები სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1982 წლის ნოემბრის პლენუმის მოთხოვნათა შესაბამისად.

წარმატება — გეგმაში!

„ტანსაცმელი მხოლოდ მაშინ ხდება ტანსაცმელი, როცა მას იცვამენ“... — მარქსის ეს დებულება შეიცავს ბევრ პრობლემას, და ყველა ეს პრობლემა ალმოჩნდა რესპუბლიკის პარტიულ-სამეურნეო აქტივის კრების მონაწილეთა ყურადღების ცენტრში. ეი მათგან თითქმის მთავარი: ტანსაცმელი, რომელსაც მყიდველი არ გამოუჩნდება, საქონელი არ არის ამ სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობით. ამავე დროს მას დაბეჯითებით ეძებს მყიდველი, მომხმარებელი. ეძებს და ვერ უშოვია.

ერთი შეხედვით ეს კურიოზული პარადოქსი გამოხატავს სერიოზულ დისპროპორციას, რომლის სოციალური და ეკონომიკური ასპექტები იმდენად ცხადია, რომ მათი უგულებელყოფა შეუძლებელია. მყიდველის მოთხოვნა, ეს კი მრავალმხრივი კატეგორიაა, უშუალოდ ასახავს საზოგადოებრივი წარმოების ეფექტიანობის დონეს.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1982 წლის ნოემბრის პლენუმმა, რომელმაც მაღალი ხარისხობრივი მახასიათებლების მქონე სამომხმარებლო საქონლის წარმოებას უპირველესი გადაუდებელი ამოცანა უწოდა, მოითხოვა, რომ იგი შეესაბამოს საზოგადოებრივ მოთხოვნებს.

ესოდენ მნიშვნელოვანი სჯაბაასისათვის ეს ამოსავალი დებულება ილუსტრირებულ იყო კრების მონაწილეთა მრავალი წინადადებით. საუბრის დროს ჭარბობდა ანალიზი.

საარსებოდ აუცილებელ საქონელზე მოსახლეობის ნიადაგმზარდი მოთხოვნის დაკმაყოფილების რთული პროცესის მართვისას მუდამ გვიხდება ოპერატიული, ორგანიზაციული ხასიათის ბევრი ამოცანის დაფაწყვეტა.

აი ზოგიერთი მათგანი.

დაგეგმვა. უკვე გეგმების განსაზღვრის დონეზე ისახება დეფიციტის წარმოქმნის შესაძლებლობა, რომელიც, თუ გეგმები არ შესრულდა, კიდევ უფრო იზრდება. კრებაზე დაასახელეს შესაბამისი მაგალითები, მაგალითად, რესპუბლიკის სატყეო მეურნეობის სამინისტრო ვერ ასრულებს ბაზრისათვის როდინების, სამზარეულო დაფების, ტანსაცმლის საკიდრების მიწოდების გეგმებს; უსინათლოთა საზოგადოება — პლასტელინის და პარაფინის სანთლების მიწოდების გეგმებს, ადგილობრივი მრეწველობის სამინისტროს საწარმოებს ჯერ კიდევ არ დაუწყიათ ამ ჯგუფის ათობით სახეობის საქონლის — ნავთის ლამპის შუშების, გაზის ქურების სანთებელების, ზოგიერთ სპორტულ ნაკეთობათა წარმოება.

მყიდველთა წინაშე დიდ ვალშია საკავშირო დაქვემდებარების ზოგიერთი საწარმოც. კერძოდ, საწარმოო გაერთიანება „ჩარხმშენებელი“ აკიანურეს შაქრის ასაღები მაშების გამოშვების, ბათუმის მანქანათსაშენებელი ქარხანა — ქილების ხელით მოსახუფი სამარჯვების, რუსთავის მეტალურგიული ქარხანა — ჰანტელების, რუსთავის ქიმიური ბოჭკოს ქარხანა — ტენისის ბადეების გამოშვების. სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანება „ელვას“ არ გამოუშვია სამი დასახელების პროდუქციიდან არც ერთი — არც თეთრეულის სამაგრები, არც საოჯახო ჯაგრისები და არც ტანსაცმლის კაუჭა საკიდრები.

ყველა ამ საწარმოს უნდა შევახსენოთ, რომ სახელმწიფო გეგმა კანონია!

ორატორებმა ხაზგასმით აღნიშნეს დასახულ ღონისძიებათა საპროგრამო ხასიათი. კარგია, რომ მასობრივი მოთხოვნის საქონლის წარმოების მართვის სქემაში, გათვალისწინებულია ძირითადი ყურადღება დაეთმოს გეგმების უთუო შესრულებას, მომარაგების საკითხთა ოპერატიულ მოწესრიგებას, წარმოებისა და ვაჭრობის ერთობლივი მეცადინეობის სისტემის უფრო ზუსტ დახვეწას, იმას, რომ უფრო მეტი გაელენა მოახდინოს პროდუქციის ხარისხობრივი მაჩვენებლების გაუმჯობესების პროცესებზე და ბევრ სხვა საკითხს.

მიზანშეწონილია საკითხებს წყვეტდნენ ადგილობრივი საბჭოები...

... უფრო მეტიც — თავიანთ საქვეუწყებო ტერიტორიაზე უნდა წყვეტდნენ სახალხო მოხმარების საქონლის გამოშვების საკითხებს, უფრო ეფექტიანად ახდენდნენ გაელენას საყოფაცხოვრებო და სავაჭრო მომსახურების გაუმჯობესებაზე.

ამ თვალსაზრისით სანმეუშოა ფოთის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს, მისი ტერიტორიულ-დარგთშორისი გაერთიანების მაგალითი, რომელმაც იკისრა მასობრივი მოთხოვნის საქონლის გამოშვების მართვა.

აქტივის კრებამ დაიპროგრამა ამ პროცესის მართვის სისტემა. ადგილებზე შეიქმნება სპეციალური კომისიები — მათ მეთაურობენ საბჭოების აღმასკომების თავმჯდომარეები. მაგრამ ამ პროცესის მართვა, აღნიშნეს ორატორებმა, საჭიროა თვით სამრეწველო საწარმოებშიც. ყველგან, სადაც ფართო მოხმარების საქონელს აწარმოებენ, ხელმძღვანელობაში უნდა იყვნენ ადამიანები, რომლებსაც უნარი შესწევთ მაღალ პროფესიულ დონეზე სპეციალურად განაგებენენ ასეთ საკითხებს. ეს მით უფრო მნიშვნელოვანია ახლა, როცა ხალხისათვის საქონლის წარმოება ერთ-ერთი ძირითადი მაჩვენებელი გახდა სოციალისტური შეჯიბრების შედეგების შეჯამებისას.

პარტიის მოთხოვნა ცნობილია — თითოეულმა საწარმომ უნდა გამოუშვას სახალხო მოხმარების საქონელი. ამას შარშან მიეძღვნა სპეციალური საკავშირო თათბირი სვერდლოვსკში. სამწუხაროდ, დღემდე რესპუბლიკაში განსაკუთრებული ძვრები ჯერჯერობით არ იგრძნობა. აი, როგორი სურათი იქმნება: რესპუბლიკაში განლაგებული 958 სამრეწველო საწარმოდან 352, ანუ მესამედზე მეტი, საერთოდ არ უშვებს ფართო მოხმარების საქონელს.

ხალხისათვის საქონლის წარმოებაში უნდა ჩაებას ყველა საწარმო, მოითხოვა აქტივის კრებამ. რესპუბლიკის თითოეული საწარმო 1990 წლამდე პერიოდისათვის შეიმუშავებს სახალხო მოხმარების საქონელზე რესპუბლიკის მოსახლეობის მოთხოვნის უფრო სრული დაკმაყოფილების პროგრამას. პროგრამაში მოცემული იქნება დაკალები, რომლებიც გაითვალისწინებენ წინასწარ განსაზღვრული რომენკლატურით კონკრეტული საქონლის შემუშავებასა და წარმოების ათვისებას, ისეთი მოძველებული პროდუქციის წარმოების შეწყვეტას, რომელზეც არ არის მოთხოვნა, სახელმწიფო ხარისხის ნიშნიანი ნაწარმის ხვედრითი წილის გაზრდას, საწარმოო სიმძლავრეთა განვითარებას, იმ მეთაური სამეცნიერო ორგანიზაციების განსაზღვრას, რომლებიც პასუხს აგებენ გარკვეული სახეობის პროდუქციისათვის, აგრეთვე თითოეული საწარმოს დაკალებანი სახალხო მოხმარების საქონლის წარმოების მოცულობითი მაჩვენებლების, ხელფასის ფონდის ყოველ მანეთზე მათი გამომუშავების, წარმოების საერთო მოცულობაში ხვედრითი წონის მიხედვით და სხვა. ყველა ეს საქართველო, საფამრიკო, დარგობრივი პროგრამა ჩამოყალიბდება ერთიან რესპუბლიკურ პროგრამად.

მისი განხორციელებისას შესაძლებელი იქნება, ჯერ ერთი, მაქიმალურად შესაძლო მოცულობით დაკაკმაყოფილოთ მოთხოვნა, და ეორე — უფრო კონკრეტულად ძრკვთხოთ თითოეულ ხელმძღვანელს იმისათვის, თუ როგორ ხდება დარგში ხალხისათვის განკუთვნილი საქონლის შემუშავება და წარმოება.

საკითხი არც ისე მარტივია, როგორც შეიძლება მოგვეჩვენოს: კერძოდ, რა უნდა გამოვუშვათ? ეაგალითად, თბილისის ერთმა ქარხანამ დაიწყო ჭაღების დამზადება, მათ არავინ არ ყიდულობს ეს საქონელი ჩაწვა. ასეთი მაგალითი ბევრი მოიყვანეს კრებაზე.

იდეიდან — დახლამდე

კრებამ დასვა კითხვა, როგორ ვმართოთ სახალხო მოხმარების საქონლის ახალი ნიმუშების შექმნის პროცესი? და პასუხიც გასცა: საქმე ეხება სისტემას, რომელიც მოიცავს მთელ პროცესს — საბოლოო პროდუქციის გამოშვების იდეიდან სავაჭრო ქსელში მის გაგზავნამდე.

უწინარეს ყოვლისა თითოეულ საწარმოს უნდა ჰყავდეს შტატიანი მუშაკები, რომლებიც მთლიანად აგებენ პასუხს ახალ სახეობათა ნაწარმის შემუშავებისათვის. მათ უნდა შეუქმნათ შესაბამისი პირობები. ამ სპეციალისტთა მუშაობის სტილი უნდა დავუკავშიროთ მათ ფუნქციურ მოვალეობებს. ამ პრაფესიონალებს მჭიდრო კონტაქტები უნდა ჰქონდეთ ვაჭრობასთან, კარგად იცოდნენ ბაზრის კონიუნქტურა, საწარმოს შესაძლებლობანი, მოაგვარონ კავშირი მონათესავე ქარხნებთან, ფაბრიკებთან და ა. შ. რაც შეეხება სახალხო მოხმარების საქონლის გამოშვების ახალი იდეების შემუშავებას, აქ თავი უნდა მოვუყაროთ ინიციატივიან, გერგილიან ადამიანებს, შეგქმნათ საკონსტრუქტორო ბიუროებში საქმიანი, შემოქმედებითი ატმოსფერო, გადავწყვიტოთ შრომის ანაზღაურების მოუწესრიგებელი საკითხები.

კრების მონაწილეებმა ძირითადი ყურადღება დაუთმეს საწარმოს ფინანსურ-ეკონომიკურ შესაძლებლობებს. შეუძლებელია პრობლემის გადაწყვეტა მხოლოდ წარმოების მოცულობის ზრდის მეშვეობით. უნდა გამოვუშვათ ისეთი ნაწარმი, რომელზეც მოსახლეობის გადიდებული მოთხოვნაა. ასეთ შემთხვევაში შეიძლება დავნერგოთ იგი მცირე პარტიებად, გავყიდოთ გადიდებულ ფასებში, გავუწიოთ უნარიანი რეკლამა და პროპაგანდა. ყველასათვის ნათელია: დეფიციტური რესურსებით ისეთი საქონლის გამოშვება, რომელზეც მოთხოვნა არ არის, ეს არის წუნი, რომელიც დანაშაულის ტოლფასია.

მასობრივი მოთხოვნის საქონელი უნდა გამოირჩეოდეს კარგი გარეგნული სახით, იყოს სახმარად მოსახერხებელი, ჰქონდეს მაღალი ხარისხობრივი მახასიათებლები. ეს კი მოითხოვს წარმოების მაღალ კულტურას, მეცნიერებისა და ტექნიკის თანამედროვე მიღწევების, მოწინავე ტექნოლოგიის გამოყენებას.

კარგი სამომხმარებლო საქონლის წარმოებისა და გამოშვების მაღალი კულტურა მოსახლეობის მოთხოვნის შესწავლისა და ფორმირების მაღალი კულტურაა. რესპუბლიკის ვაჭრობის სამინისტრომ ამ მიმართულებით უნდა წარმართოს სამინისტროებისა და უწყებების მუშაობა. სამწუხაროდ, სისტემაში დღემდე არ არის შექმნილი სამსახურები, რომლებსაც ევალებათ ეს საქმე. ამაზე თვალნათლივ ადასტურებს უმაღლესი კატეგორიის ხარისხის პროდუქციის გამოშვების მკვეთრი გადიდება. ნაწარმის 35 პროცენტი აღნიშნულია სპპაჟიო ხუთკუთხედით. ასორტიმენტის განახლების პროცენტი ორმოცდაათიდან ოთხმოცამდე გაიზარდა“.

„მასობრივი მოთხოვნის საქონლის წარმოებისათვის ფართოდ დავიწყეთ მეორადი ნედლეულის — ხის დამუშავების ნარჩენების გამოყენება. შევიმუშავეთ და ვითვისებთ გაუმჯობესებული ხარისხის წაწარმის: დასაკეცი ტაბურეტების, ლანგრების, სამზარეულო კომპლექტების, ბოსტნეულის საფრენლების, ბამბუკის სპორტინვენტარის, სუვენირების გამოშვებას, ახლა სატყეო მეურნეობის სამინისტროს საწარმოები უშვებენ დაახლოებით ორმოცი სახეობის კულტურულ-საყოფაცხოვრებო და სამეურნეო დანიშნულების ნაწარმს“.

„საქართველოს ორმოცდაჩვიდმეტი მანქანათსაშენებელი საწარმოდან ორმოცდაცხრა აწარმოებს სახალხო მოხმარების საქონელს. წელს მათ დაგეგმილი აქვთ გამოუშვან 230 დასახელების პროდუქცია. ეს არის საყოფაცხოვრებო ტექნიკა, სათბობი და ასანთი ხელსაწყოები, ვენტილატორები, ელექტრონული საათები და სხვ. იქმნება სპეციალიზებული სიმძლავრეები. ქარხანა „ელექტროშეღებებში“ შენდება სახალხო მოხმარების საქონლის საწარმოო კორპუსი“.

„სახალხო მოხმარების საქონლის ხარისხის გაუმჯობესებისა და ასორტიმენტის გაფართოების პრობლემა ბევრად არის დამოკიდებული მოდის ცვალებადობაზე. მოდელების რესპუბლიკური სახლის მხატვრები და მოდელიორები არა მარტო ქმნიან ახალი ნიმუშის ტანსაცმელს, არამედ აქტიურად მონაწილეობენ მოდის თანამედროვე მიმართულებების პროპაგანდაში. დემონსტრაციისათვის გამოყენებულია წითელი კუთხეები საწარმოებსა და დაწესებულებებში, კულტურის სახლების სცენები, უმაღლესი სასწავლებლები, საფირმო მაღაზიები“.

„ქუთაისში წელს აითვისებენ ცხრა დასახელების საქონლის წარმოებას. დიდი პროგრამაა დასახული ქუთაისის ავტოქარხანაში. აქ აგვარებენ „ეიგულის“ ავტომანქანების განმანაწილებელი ლიგვების, მატოციკლის მთავარი გადამცემი კბილანების და სხვათა წარმოებას. მთელი ეს პროდუქცია გამოვა სერიოზულ 1984 წლიდან. ელექტრომექანიკური ქარხანა თავის თერჯოლის ფილიალში აგვარებს საყოფაცხოვრებო ელექტროტუმბოების წარმოებას, ხოლო ავეჯის კომბინატი ქვეყანაში პირველი დაიწყებს შპონის ნარჩენებისაგან დეკორატიული პარკეტის გამოშვებას“.

„1985 წელს აჭარის ჩაის მრეწველობა უხარჩენებოდ იმუშავებს, ხოლო ერთი წლის მოგვიანებით კვების მრეწველობაც, კერძოდ, ციტრუსების მთელი მოსავალი საქმეს მოხმარდება.

მთავრდება ჩაის გამამხნევებელი სასმელების, თხევადი და მშრალი კონცენტრატების გამოშვება. უხარჩენო წარმოების შექმნას ექვემდებარება საშუშაოები მსუბუქი, ხისდამშუშავებელი და ლითონდამშუშავებელი მრეწველობის საწარმოებში“.

„ციტრუსოვანთა ნარჩენების გამოყენების ტექნოლოგიის ათვისებამ ორი უკანასკნელი წლის მანძილზე ხელი შეუწყო 10 ათას ტონაზე მეტი დამატებითი პროდუქციის გამოშვებას სანელებლების, ხიტ-ფაფის, პიურესა და სხვათა სახით. რესპუბლიკის ხილბოსტნეულის სამინისტროს საწარმოებისათვის სიახლეთა შემუშავებაში მონაწილეობენ უკრაინის სსრ მეცნიერებათა აკადემიის ტექნიკური თბოფიზიკის ინსტიტუტი და საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მცენარეთა ბიოქიმიის ინსტიტუტი. ამ უკანასკნელთან, ერთად, კერძოდ, მუშავდება პამიდვრის ნარჩენებისაგან ბაქრის შემცველის მიღების თემა“.

„შემუშავებულია 1990 წლამდე ადგილობრივი მრეწველობის განვითარების ძირითადი მიმართულებანი. უპირატესი ტემპით განვითარდება ლითონისა და ქვის დამუშავება, ინერტული მასალების მოპოვება და საშენი მასალების წარმოება. დიდი მნიშვნელობა ენიჭება ხალხური მხატვრული სარეწების აღორძინებასა და ეროვნული სუვენირების წარმოებას. ამ დარგების პროდუქციის გამოშვება ერთისამად გაიზრდება. ადგილობრივი ნედლეულისაგან დამზადებული პროდუქციის მოცულობა ხუთწლედის დამლევამდე სამოცდაოთხ მილიონ მანეთს გადააჭარბებს — 2,1-ჯერ მეტი იქნება 1980 წელთან შედარებით“.

აკრიტიკებენ...

„სახალხო მოხმარების საქონლის გამოშვების დაგეგმვაში ხარვეზები წარმოშობენ ერთი სახეობის ნაწარმის გადამეტწარმოებასა და სხვა სახეობათა დეფიციტს. მაგალითად, სოხუმის საგალანტერეო ფაბრიკაში მიმდინარე წლისათვის დაგეგმილია ნახევარი მილიონი სამოსწავლო სამელენეების დამზადება, მაშინ როცა სკოლებში უკვე დიდი ხანია ავტოკალმებით სარგებლობენ.

ანდა ავიღოთ გამაგრილებელი სასმელების წარმოება. მათ უშვებენ კვების მრეწველობის სამინისტროც და ე

საქართველოს ტელევიზიის სტუდიამ სიგნალი მიიღო: გაურკვეველი მიზეზისა გამო ხილისა და ბოსტნეულის შუა ხეზონში თბილისის მაღაზიებიდან გაქრა კიტრი და პამიდორი. გადაწყვიტეს წერილი ტელეეკრანიდან წაეკითხათ და რესპუბლიკის აგრარ უსამრეწველო-სავაჭრო გაერთიანების უფროსს სთხოვეს პასუხი გაეცა ამ წერილზე. დასახული შეხვედრა გაიმართა, მაგრამ გაერთიანების უფროსმა განაცხადა, ხილნი სწორი არ იყოო, და ირწმუნებოდა, მაღაზიებში ყველაფერი რიგზეაო...

დიალოგი

ტელეეკრანიან

ტელევიზიით ხელმძღვანელი მუშაკების გამოსვლა და მშრომელთა კონკრეტულ კითხვებზე პასუხების გაცემა დღეს იშვიათი მოვლენა არ არის და ეს პრაქტიკა მარტო საქართველოში არ არსებობს. მაგრამ ამგვარი შეხვედრები ყოველთვის როდი იქცევა ხოლმე საჭირბოროტო, შინაარსიან საუბრებად გადაუწყვეტელი პრობლემების შესახებ. ზოგიერთი გამომსვლელი ცდილობს თავი აარიდოს ტელემაყურებელთა შეკითხვებს, ამ შეკითხვებზე მკაფიო პასუხის გაცემას. და, როგორც ჩანს, დიდი შეუპოვრობა გამოუჩენიათ იმ პროგრამის შემქმნელებს, რომლის შესახებაც დავიწყეთ საუბარი საქართველოს ტელევიზიის პუბლიცისტიკის თაობაზე, რადგან პირდაპირ კადრში, რესპუბლიკის ხუთმილიონიანი აუდიტორიის თვალწინ გადაცემის წამყვანმა საეჭვო გზადა ხელმძღვანელის აღთქმები.

მაგრამ ეჭვი ჯერ კიდევ პასუხი არ არის მაყურებელთა მიერ დასმულ კითხვაზე. ტელევიზია კიდევ უფრო ფორს წავიდა: რიგი მოაწყო ქალაქის მაღაზიებში. თურმე, ბოსტნეული მართლაც არ ყოფილა. მიუხედავად ამისა ზოგიერთ სავაჭრო წერტილში ზედნადებები სამი დღით ადრე დაუხურიათ, მაშასადამე, ბოსტნეული თითქოს გაუყიდიათ, თუმცა სინამდვილეში, როგორც იტყვიან, განზე გაუშვიათ. საქმის ბოლომდე მიყვანის მიზნით ტელეჟურნალისტები ბაზარს ეწვივნენ და მაყურებლებს აცნობეს, თუ რა ფასად იყიდება აქ ეს პროდუქცია, რომელიც ფაქტობრივად ბოსტნეულის მაღაზიებიდან არის მოპარული. ტელევიზიის ასეთ პრინციპულ გამოსვლას რესპუბლიკის აგრარულ-სამრეწველო-სავაჭრო გაერთიანება უყურადღებოდ ვერ დატოვებდა და იძულებული გახდა სერიოზულად მოეკიდა ხელი ეკრანიდან აღძრული პრობლემისათვის.

საქართველოს პარტორგანიზაცია დღეს განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს რესპუბლიკური პრესის, ტელევიზიისა და რადიოს ავტორიტეტის ამაღლების საკითხს. ეს ავტორიტეტი კი, როგორც ცნობილია, ვერ შეიქმნება, თუ ყოველდღიურად არ ვიზრუნეთ გამოსვლების ქმედითობისათვის, პუბლიცისტიკის მაღალი ანალიზური დონისათვის, ფაქტებისა და მოვლენების სწორი და, რაც ძალზე მნიშვნელოვანია, დროული შეფასებისათვის.

წარმოიდგინეთ, რომ დღის 12 საათზე რომელიმე რაიონში რკინიგზის ავარია მოხდა. „უმავთულო ტელეგრაფი“ ასეთ ამბებს ელვისებურად ავრცელებს. საქართველოს ტელევიზიას კარგად ესმის, რაოდენ მავნეა ასეთი ხმები, და ოპერატიულობა პუბლიცისტური პროგრამების ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს პრინციპად გაიხადა. ამიტომ თქვენ შეგიძლიათ იმავე საღამოს მოისმინოთ მუდმივი რუბრიკით „დღის ინტერვიუ“ რკინიგზის უფროსის ცნობა რკინიგზაზე რეალური მდგომარეობის შესახებ.

„ამბობენ, ზოგიერთი მარკის ღვინოს ყურძნისგან კი არა, ხილისგან აყენებენო“. „ამბობენ, რკინიგზის ბევრ სალაროში ბილეთები არ არის, მატარებლებში კი უამრავი თავისუფალი ადგილიაო“... როცა ამგვარ წერილებს უასუხებენ, საქართველოს ტელევიზიის ჟურნალისტები ცდილობენ ჩასწვდნენ საქმის ქვიშმარიტ ვითარებას, ეხმარებიან მაყურებლებს სიმართლისა და ჭორის გარჩევაში, ცდილობენ ნიაბი ჩამოგლიჯონ მაგიერ ფორმულას — „ამბობენ“. და თუ ჩავუფიქრდებით რუბრიკის „დღის ინტერვიუს“ და სხვა საინფორმაციო-პუბლიცისტური გადაცემების თავისებურ ზეამოცანას, იგი, იმით გამოიხატება, რომ გაზარდოს ტელემაყურებელთა კომპეტენტურობა, განუვითარ ინტერესი რეალური საზოგადოებრივი პრობლემებისადმი.

არსებითად საქართველოს ტელევიზიამ სოციალურად აქტიური მაყურებლის აღზრდის მრავალსაფეხურიანი სისტემა შეიმუშავა. „პრავდამ“ უკვე გაგვაცნო, თუ როგორ მოაგვარეს თბილისელმა ჟურნალისტებმა თავის აუდიტორიასთან უკუკავშირი“: ამ აუდიტორიას ისინი სწავლობდნენ არა მარტო წერილებისა და ამა თუ იმ პროგრამაზე შემთხვევითი გამოხმაურების მიხედვით, არამედ ამასთანავე აწყობდნენ სპეციალურ გამოკითხვებს, ავრცელებდნენ ანკეტებს, ყოველდღიურად ეკითხებოდნენ ეკრანებიდან ადამიანებს, თუ რა აზრისანი არიან გადაცემებში აღძრულ პრობლემებზე, მათი მიწოდების ხარისხსა და ფორმაზე, სთხოვდნენ, გამოეგზავნათ წინადადებანი და კრიტიკული შენიშვნები, რესპუბლიკის ბევრ რაიონში მოაწყვეს ქართული ტელევიზიის დღეები.

უნდა ითქვას, რომ ამგვარი ექსპერიმენტები თავის დროზე ტელევიზიისა და რადიოს სხვა კომიტეტსაც მოუწყვიათ. მაგრამ საქართველოს სახტელერადიოს გამოცდილება იმით გამოირჩევა, რომ აქ ეს წამოწყება ყოველდღიურ პრაქტიკად დამკვიდრდა. აქ პუბლიცისტური პროგრამების მთელი სისტემა ისეა აგებული, რომ მისი მამოძრავებელი და ბერკეტი თავად ტელეაუდიტორია იყოს, მასთან მიმდინარეობს აქტიური დიალოგი. ნდობის პრინციპი ძირითადი ხდება სისტემაშიც „ეკრანი — მაყურებელი“. ამ ნდობას კი უწინარეს ყოვლისა უზრუნველყოფს საჯაროობა, მშრომელთა საკმარისი ინფორმირება როგორც ჩვენს მიღწევებზე, ისე სოციალისტური ცხოვრების ყაიდის ნორმებიდან და წესებიდან გადახრების შესახებ.

...კადრშია ტყიბულის მაღაროს ადმინისტრაციული შენობა. ტელემაყურებლები კარგად ხედავენ განცხადებას: „გენერალური დირექტორი მომსვლელებს იღებს პარასკევობით, 14-დან 18 საათამდე“. მაგრამ მაღაროელებს სევდიანად ეღიმებათ, როდესაც დაფაზე ამ წარწერას კითხულობენ: გენერალური დირექტორი ძალიან ხშირად თავს არიდებს მაღაროელებთან შეხვედრას, რატომღაც სწორედ ამ საათებშია ხოლმე „მოუცლელი“. იქნებ იმიტომ, რომ ჯეროვნად არ ზრუნავს მუშათა საყოფაცხოვრებო პირობებისათვის? ზოგიერთი მათგანი ხომ უკვე დიდი ხანია ისეთ სახლში ცხოვრობს, რომლებიც რამდენიმე წელია ავარიულ მდგომარეობაშია. მაღაროელებმა კომუნალური მეურნეობის სამმართველოსაც და რაიაღმასკომსაც მისწერეს, რომ აუცილებელია სარემონტო სამუშაოები, მაგრამ საქმიანი პასუხი არსაიდან არ მიუღიათ.

ასე იწყება საქართველოს ტელევიზიის მუდმივი ციკლის „ბიუროკრატიზმის გალერეა“ ერთ-ერთი გამოშვება. ამ გადაცემებისათვის მასალას ტელეჟურნალისტები პოულობენ უშუალოდ იმ მაყურებელთა წერილებში, რომელთაც მარტო საყოფაცხოვრებო სიძნელეები კი არა, არამედ ზოგიერთი ხელმძღვანელის მუშაობის სტილი და მეთოდებიც აწუხებთ. მაგრამ კრიტიკა კრიტიკის გულისთვის კონსტრუქციული ვერ იქნება. ასეთი გადაცემების მთავარი მიზანი სხვა რამაა — ისინი ხელს უწყობენ საზოგადოებრივი აზრის მობილიზაციას ყოველგვარი დაღრეკვების წინააღმდეგ შეურიგებელი ბრძოლისათვის. ციკლებში „კომუნისტები“, „საბჭოური ხასიათი“ და სხვებში განუხრელად მკვიდრდება ის აზრი, რომ შეუწყარეველია გულგრილობა, რომელსაც შედეგად მოსდევს წუნი, ცუდი შრომითი დისციპლინა.

შემთხვევითი არ არის, რომ ასეთი გადაცემების გმირები ხდებიან არა მარტო მთავრობის მაღალი ჯილდოების, ორდენებისა და წოდებების მქონე ადამიანები, არამედ უწინარესად რიგითი მშრომელები — რკინიგზის მუშები, ზეინკლები, ხარატები, მემონტაჟეები. თანაც მათ სტუდიაში კი არ იწვევენ, პირდაპირ საამქროში, მთელი კოლექტივის თვალწინ იღებენ. საკუთარი ამხანაგების წინაშე ზოგადი ფრაზებით ლაპარაკი, მით უმეტეს შელამაზება, ძალზე ძნელია. ჰოდა, გადაცემის გმირი პირდაპირ ეკრანიდან სვამს პრობლემებს, რომლებიც კოლექტივს აწუხებს. ამას ასე თამამად იმიტომაც ლაპარაკობენ, რომ ღრმად სწამთ: ტელეგადაცემა პასუხს მოსთხოვს იმათ, ვისი მიზეზითაც გზები ავარიულ მდგომარეობაშია, ვისი მიზეზითაც ფერხდება მასალების მიწოდება.

ცხადია, ყველაზე ფაართო გამოხმაურებას ის გადაცემები პოულობს, რომლებიც დიდი ემოციურობის გამო გულს ხვდება, მოსახლეობის სულ სხვადასხვა ფენის განწყობილებას ასახავს. ასეთია, მაგალითად, პროგრამები, რომლებიც ეძღვნება ქონებრივ დანაშაულობათა წინააღმდეგ ბრძოლას, მაგრამ რაგინდ დიდი წარმატებაც უნდა ჰქონდეს ასეთ პროგრამებს მაყურებელთა შორის, უნდა გვახსოვდეს, რომ ისინი მიზანშეწონილია მხოლოდ როგორც შემადგენელი ნაწილი ტელეპუბლიცისტიკისა, რომლის მიზანია ჯანსაღი საზოგადოებრივი აზრის ჩამოყალიბება. ამ მიზანს კი უწინარეს ყოვლისა აღწევენ იმ გადაცემათა მეშვეობით, რომლებიც აშუქებენ პარტიული, საბჭოთა და საბეურნეო ორგანოების მუშაობას და რომლებსაც საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტთან არსებულ საზოგადოებრივი აზრის შესწავლისა და პროგნოზირების ცენტრთან ერთად ამზადებენ.

სტუდია „დიალოგმა“ სრულიად დამსახურებულად მოიპოვა პოპულარობა. არსებითად ეს პროგრამა მინისტრისა თუ რომელიმე უწყების ხელმძღვანელის თანამებრი პრესკონფერენცია აა. ასეთი შეხვედრების წყალობით ტელემაყურებლებს საშუალ ბა ეძლევათ გაეცნონ ახლად დანიშნული ხელმძღვანელის შრომითის ბიოგრაფიას, მის გეგმებს. თავის მხრივ მინისტრებიც იგებენ ხალხის აზრს იმ ორგანიზაციების მუშაობის შესახებ, რომელთა ხელმძღვანელობასაც სათავეში უნდა ჩაუდგნენ, ოღონდ წინადადებებსა და რეკომენდაციებს.

ეკრანზე ხშირად უჩვენებენ ტელეფონის ნომერს, რომლითაც ყოველ მაყურებელს შეუძლია დარეკოს სტუდიაში და შეკითხვა მისკენ გამომსვლელს. არცთუ იშვიათად ასეთი შეკითხვები იმდენად სერიოზულია, რომ სამინისტროთა კოლეგიების სხდომათა სპეციალური განხილვის საგანი ხდება.

ამრიგად, პროგრამა „დიალოგი“, ერთი მხრივ, შესაძლებლობას აძლევს მშრომელებს კონტროლი გაუწიონ უწყება-სამინისტროთა მუშაობას, ხოლო მეორე მხრივ, ხელმძღვანელ მუშაკებს აბამს პარტიის პოლიტიკის განმარტებაში, ხელს უწყობს კომუნისტ ხელმძღვანელთა პირად მონაწილეობას პროპაგანდისტ უ ულ მუშაობაში. სრულიად უყოყმანოდ შეიძლება ითქვას, რომ ასეთი პროგრამები ეფექტიანად უწყობს ხელს სოციალისტური დემოკრატიის სრულყოფასა და განვითარებას, საშუალებას აძლევს ხალხს კიდევ უფრო რეალურად იგრძნონ სახელმწიფო საქმეებში თავიანთი მონაწილეობა.

ე. ჩეკალოვა.
„პრავდა“. 1983 წ. 1. IV.

---

1 აპრილი

ულტიმატუმი

ფაქტები მოვლენები საკლასო იუფყაება

● **ავღანეთი**

ვაშინგტონის ჩარევის წინააღმდეგ

ქაბული. ავღანეთის დემოკრატიული რესპუბლიკის ეროვნულმა სამმართველო ფრონტმა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურ მდივანს ხ. პერეს დე კუელიარს გაუგზავნა წერილი, რომელშიც გამოთქმულია მტკიცე პროტესტი ხუვერენული ავღანეთის საშინაო საქმეებში ამერიკის შეერთებული შტატების ადმინისტრაციის უხეში ჩარევის წინააღმდეგ.

თეთრი სახლის მიერ გამოგონილი ეგრეთ წოდებული „ავღანეთის დღის“ გამო მოწყობილი ბინძური პროპაგანდისტული ფარსი და პრეზიდენტ რეიგანის წამქეზებლური გასცხადება, ნათქვამია წერილში, მიზნად ისახავენ წაქეზონ დაქირავებულებისა და ჩკვლელების ბანდები, ჩაიდინონ ახალი ტიროტაქმედება ავღანელი ხალხის წინააღმდეგ, პროპაგანდისტული აურზაურის ნიღბით დამაკონ საერთაშორისო იმპერიალიზმისა და რეაქციის და მათი მეთაურის ამერიკის შეერთებული შტატების უშუალო მონაწილეობა გამოუცხადებელ ომში რევოლუციური ავღანეთის წინააღმდეგ. პრეზიდენტი რეიგანი, რომელიც ფარისევლურად ლაპარაკობს ავღანელი ხალხისადმი სიმპათიის გრძნობებზე, აღნიშნულია წერილში, ძალ-ღონეს არ იშურებს, რათა კვლავ იღვრებოდეს რიგითი ავღანელების სისხლი. ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტის მორიგი პროვოკაციული აქცია კვლავ გამოიწვევს უდანაშაულო მშვიდობიანი მცხოვრებლების დაღუპვას, ხანძრებსა და ქარხნების, საავადყოფოების, სკოლების და მეჩეთების ნგრევას.

ავღანეთის დემოკრატიული რესპუბლიკის ეროვნულმა სამმართლო ფრონტმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ ავღანელ ხალხს მტკიცედ აქვს გადაწყვეტილი დაიცვას აპრილის რევოლუციის მონაპოვრები და ბოლო მოუღოს ჩამორჩენილობასა და სიღატაკეს. ჩვენი ხალხი, ნათქვამია წერილში, მარტო არ არის თავის წმიდათაწმიდა ბრძოლაში. მის მხარეზე დგანან მსოფლიოს მთელი პროგრესული ძალები.

● **ანგოლა**

ტერორისტთა გასამართლება

ლუანდა. აქ დაიწყო სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის რასისტთა და ამერიკის ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს კმაყოფაზე მყოფი ტერორისტული დაჯგუფების უნტას 27 წევრის გასამართლება. როგორც ანგოლის საინფორმაციო საგენტო იუწყება, მათ ბრალად ედებათ ტერორისტული და დივერსიული აქტების განზორციელება, რომელთა შედეგად ანგოლის სახალხო რესპუბლიკის ბევრი მოქალაქე დაიღუპა.

● **აშშ**

პრეზიდენტის გამოსვლა

ვაშინგტონი. ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტმა გაკეთა განცხადება, რომელიც შეიცავდა წინადადებებს საშუალო საშორის ბირთვული შეიარაღების საკითხში ეგრეთ წოდებული „შუალედური შეთანხმების“ შესახებ. ამ წინადადებებს ფართო რეკლამას უწევენ ვაშინგტონის ოფიციალური წარმომადგენლები.

ამავე დროს პირველივე გამოხმაურებები, მათ შორის ამერიკულ პრესაში, შეიცავს მრავალ კრიტიკულ კომენტარს ამ წინადადებების გამო. მაგალითად, იუპის სააგენტო აცხადებს, რომ ამერიკის შეერთებული შტატების მიერ წამოყენებული წინადადებები „ნულოვანი ვარიანტის“ ერთ-ერთი ნაირსახეობაა.

● **ინდოეთი**

სეპარატისტთა ხრიკები

დელი. ინდოეთის ფენჯაბის შტატში ტერორისტული საქმიანობა გააქტიურეს აკრძალული სეპარატისტული ორგანიზაციებ დალ ჰალსის ესტრემისტებმა. ქალაქ მუკერიანში ტერორისტებმა ბომბები აფეთქეს ერთ-ერთ ცენტრალურ ქუჩაზე, რომლის შედეგად რამდენიმე კაცი დაიჭრა. ბომბინდის რაიონში მათ მოაწყეს დივერსია რკინიგზაზე, რამაც სამგზავრო მატარებლის ავარია გამოიწვია. სეპარატისტთა ხრიკები, აღნიშნავს ინდოეთის პრესა, მიზნად ისახავს ვითარების დესტაბილიზაციას ფენჯაბსა და მის მეზობელ ჩრდილო-დასავლეთ შტატებში, რომელთა ტერიტორიაზეც მათ სურთ შექმნან ეგრეთ წოდებული „სიკჰების დამოუკიდებელი სახელმწიფო — ჰალისტანი“.

ჟენევის მოლაპარაკება

ჟენევა. აქ გაიმართა სსრ კავშირისა და ამერიკის შეერთებული შტატების დელეგაციათა პლენარული სხდომა, რომლითაც დამთავრდა სტრატეგიული შეიარაღების შეზღუდვისა და შემცირების შესახებ მოლაპარაკების მიმდინარე რაუნდი.

დათქვეს, რომ მოლაპარაკება გაგრძელდება მიმდინარე წლის 8 ივნისიდან.

გერმანიის - დემოკრატიულ რესპუბლიკაში დ. თ. უსტინოვის მომავალი ვიზიტის შესახებ

გერმანიის ერთიანი უციალისტური პოტიის ცენტრალური კომიტეტისა და გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს მიწვევით საბჭოთა სამხედრო დელეგაცია სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრის, სსრ კავშირის თავდაცვის მინისტრის, საბჭოთა კავშირის მარშლის დ. თ. უსტინოვის მეთაურობით გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკას ოფიციალურ ეგობრულ ვიზიტად ეწვევა ამა წლის აპრილის პირველ დეკადაში.

ჩვენს თვალწინ: ჩვენთვის და საშვილიშვილოდ

(დასასრული).

და ამ განწყობილების ზიარი იქნებიან არა მხოლოდ უშუალოდ მოედანზე მყოფნი, არამედ ქალაქის დიდი ნაწილის მცხოვრებნიც, რომლებიც სხვადასხვა კუთხიდანაც დაინახავენ და აღიქვამენ ამ საერთო სილამაზეს.

მოედნის მშენებლობის პირველი რიგის სამუშაოები უკვე დამთავრებულად შეგვიძლია მივიჩნიოთ, დანარჩენს კი მომავალი გვიჩვენებს.

კორესპონდენტი: — რას გულისხმობთ?

ი. არბელიძე: — პირველმაისობას. იგი კარს მოგვადგა და, ჩვენც მზად უნდა დავუხვდეთ. მშენებლობის დღევანდელი ტემპი გვაფიქრებინებს, რომ ამ დღესასწაულისთვის მზად იქნება დედაქალაქის ეს ერთ-ერთი ძირითადი ატრანსპორტო კვანძი და მოედანიც.

და თბილისელებიც პირველად იზეიმებენ რესპუბლიკის მთავარ მოედანზე პირველ მაისს.

ყოველივე, რასაც მოედანზე, დღესდღეობით ვხედავთ და რაც ახლო მომავალში გამოჩნდება, ნაყოფია მრავალრიცხოვანი კოლექტივების თავდადებული, დაუშრომელი გარჯისა, იმ უდიდესი დახმარებისა და მხარდაჭერისა, რომელიც გაგვიწიეს სატრანსპორტო მშენებლობის საკავშირო სამინისტროს ხელმძღვანელობამ, საქართველოს მშენებლობის, საშენ მასალათა და აღჭურვილობის მრეწველობის სამინისტროებმა, საქართველოს მთავარმონტაჟსაეცმშენმა, საქმთავარმომარაგებამ და მისმა უწყებებმა. არიან, სხვა ორგანიზაციებიც, რომელთა დახმარებასა და მხარდაჭერაზე მომავალშიც ბევრჯერ გვექნება საუბარი. მადლობა მათ.

კორესპონდენტი: — მადლობა თქვენც, მშენებლებს, რომლებიც რესპუბლიკის ხელმძღვანელობის მხარდაჭერითა და შეწევნით ამ ნაშვილიშვილო ვალის პირნათლად მოხდას გვპირდებით.

კორესპონდენტი უკვე (ედაქციისკენ მოეშურებოდა, როცა ივეე, მოედანზე, უნგრელ პროფესორ **კაროლ პოლონისა** და ცნობილ მოსკოველ არქიტექტორს, სსრ კავშირის არქიტექტორთა კავშირის მდივანს **იური ბნედოვსკის** შეეხვედრეს. მათ უკვე დაემთავრებინათ მშენებლობის დათვალიერება...

კორესპონდენტი: — ორიოდე სიტყვით, თქვენი აზრი მშენებლობის პროცესზე, ჩვენი ახალი მოედნის არქიტექტურულ გადაწყვეტაზე.

იური ბნედოვსკი: — ჯერ ჩვენს სტუმარს წარმოგიდგენთ: ბატონი პოლონი შვიდი წლის განმავლობაში ბუდაპეშტის მთავარი არქიტექტორი გახლდათ. იგი წლების მანძილზე კითხულობდა არქიტექტურის კურსს ამერიკის შეერთებულ შტატებში, კანადასა და აფრიკის ქვეყნებში. ბატონი პოლონი ბევრი ღირსშესანიშნავი ნაგებობის ავტორი და მრავლისმხილველია. თქვენმა მიეფანმა მოხიბლა, და ცნობილი იტალიური მოედნის ანსამბლის ასოციაციაც კი აღიძრა. რაც შეეხება ჩემს პირად შეხედულებას, საოცრად მომეწონა მთელი მოედნის, განსაკუთრებით კი თაღედის მასშტაბი, რომელიც ასე ზუსტად, ორგანულად ეზმება და ეფარდება თქვენი ჩინებული რუსთაველის პროსპექტის საერთო განზომილებასა და კოლორიტს. და იცით, კიდევ რა მომეწონა? — მოედნის ის თბილისური იერი, რომელიც მშენებლობის პროცესშივე იგრძნობა.

მჯერა, ყოველივე კარგად დაგვირგვინდება, და თქვენი დედაქალაქის სტუმრებიც სწორედ ამ მოედანზე გადაიღებენ პირველ სამახსოვრო სურათებს. სიამოვნებით გეწვეოდით არქიტექტორებისა და მშენებლების საერთო გამარჯვების დღესასწაულზე — ამ უნიკალური მოედნის გახსნის ზეიმზე.

● ●

სურათზე: მემონტაჟეთა ერთ-ერთი უბანი.

ს. კილაძის ფოტო.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება

ამხ. ი. ნ. ორჯონიკიძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

რესპუბლიკის კომკავშირულ ორგანოებში აქტიური და ნაყოფიერი მუშაობისათვის ამხ. იოსებ ნიკოლოზის ძე ორჯონიკიძე დაჯილდოდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე
პ. გილაშვილი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი
თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი. 1983 წლის 1 აპრილი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება

ამხ. ო. გ. პატიაშვილის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

მშენებლობის დარგში ხანგრძლივი ნაყოფიერი მუშაობის, აქტიური საზოგადოებრივი საქმიანობისათვის და დაბადების ორმოცდაათ წელთან დაკავშირებით საქართველოს სსრ მშენებლობის სამინისტროს № 1 ტრესტის № 2 სამშენებლო სამმართველოს ბრიგადირი, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის წევრი ამხ. ოთარ გიორგის ძე **პატიაშვილი** დაჯილდოდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე
პ. გილაშვილი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი
თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი. 1983 წლის 25 მარტი.

კ. მარქსის რევოლუციური მოძღვრება და თანამედროვეობა

ამ დღეებში ყველა ქვეყნის კომუნისტები, პროგრესული კაცობრიობა აღნიშნავენ მეცნიერული კომუნიზმის ფუძემდებლის, გენიალური მოაზროვნის, მგზნებარე რევოლუციონერის, მსოფლიო პროლეტარიატის ბელადისა და მასწავლებლის კარლ მარქსის დაბადების 165 წლისთავსა და გარდაცვალების 100 წლისთავს.

რეკომენდებულია პარტიული სწავლების, კომკავშირული, პოლიტიკური განათლებისა და ეკონომიკური სწავლების სისტემაში, პროპაგანდის მახარბრივ ფორმებში მორიგი მეცადინეობა მოეწყოს თემაზე „კ. მარქსის რევოლუციური მოძღვრება და თანამედროვეობა“.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტიკური განათლების რესპუბლიკური სახლი გთავაზობთ მეცადინეობის სანიმუშო გეგმას.

1. მარქსიზმის წარმოშობის ისტორიული პირობები. მარქსიზმი „კანონიერი მემკვიდრე იმისა, რაც კი რამ შექმნა კაცობრიობამ XIX საუკუნეში გერმანული ფილოსოფიის, ინგლისური პოლიტიკური ეკონომიის, ფრანგული უტოპიური სოციალიზმის სახით“ (ვ. ი. ლენინი).

მარქსიზმის სამი შემადგენელი ნაწილი: კ. მარქსის ორი დიდი აღმოჩენა — ისტორიის მატერიალისტური გაგება და ზედმეტი ღირებულების თეორიის შემუშავება და მათი მნიშვნელობა სოციალიზმის უტოპიიდან მეცნიერებად გადაქცევაში.

კ. მარქსი, როგორც მეცნიერი რევოლუციონერი და ადამიანი.

2. მარქსიზმის დამახასიათებელი თავისებურებანი. თეორიისა და პრაქტიკის ურღვევი ერთიანობა. მარქსიზმის ქმედითი ხასიათი. სამყაროს რევოლუციური გარდაქმნა პროლეტარიატის იდეოლოგიის უმნიშვნელოვანესი მოთხოვნაა. მარქსიზმის პარტიულობა, კლასობრივობა, მებრძოლი პარტიულობისა და მეცნიერული ობიექტურობის ორგანული ერთიანობა. მარქსიზმის შეუთავსებლობა დოგმატიზმთან, მისი შემოქმედებითი ხასიათი.

3. ვ. ი. ლენინის მიერ მარქსიზმის შემოქმედებითი განვითარება ახალ ისტორიულ პირობებში. ლენინი იმპერიალიზმისა და პროლეტარული რევოლუციების, კოლონიური სისტემის მსხვრევის ეპოქის, კაპიტალიზმიდან სოციალიზმზე კაცობრიობის გადასვლის ეპოქის მარქსიზმია.

3. რეალური სოციალიზმი კ. მარქსის იდეების ხორცშესხმაა.

მარქსიზმის წარმოშობის შემდეგ მსოფლიო ისტორიის ყოველი ეპოქა მარქსიზმის ახალი დადასტურება და ტრიუმფია (ვ. ი. ლენინი). მარქსიზმის თეორიის შეერთება სოციალიზმისადმი ბრძოლისა და სოციალისტური, კომუნისტური მშენებლობის პრაქტიკასთან. ვ. ი. ლენინის მიერ შექმნილი კომუნისტური პარტიის რევოლუციური საქმიანობა რუსეთისა და საერთაშორისო მუშათა მოძრაობის ახალი ეტაპია.

ოქტომბრის რევოლუცია და მსოფლიოს ეკონომიკური და სოციალურ-პოლიტიკური იერსახის შეცვლა. ვ. ი. ლენინის მიერ სსრ კავშირის — მრავალეროვანი სოციალისტური სახელმწიფოს შექმნა. თავისუფალ და თანასწორუფლებიან ხალხთა ინტერნაციონალური შეკავშირება, მეგობრობა და დაახლოება.

სოციალიზმის აშენება სსრ კავშირში. საბჭოთა საზოგადოებრივი და სახელმწიფოებრივი წყობილების ურღვევი სიმტკიცე.

სოციალიზმის მსოფლიო სისტემის შექმნა, მსოფლიო კაპიტალიზმის კრიზისი, სოციალიზმის, დემოკრატიისა და მშვიდობისათვის მებრძოლ ხალხთა რიგების გაფართოება.

განვითარებული სოციალიზმის აშენება სსრ კავშირში და პარტიის სტრატეგია და ტაქტიკა უახლოესი წლებისა და უფრო შორეული პერსპექტივისათვის.

სკკპ XXVI ყრილობა მეთერთმეტე ხუთწლედში ქვეყნის ეკონომიკური და სოციალური განვითარების ძირითადი ამოცანების შესახებ. საბჭოთა საქართველოს მშრომელები სკკპ XXVI ყრილობის, სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1982 წლის ნოემბრის პლენუმის გადაწყვეტილებათა რეალიზაციისათვის ბრძოლაში.

ლიტერატურა:

კ. მარქსი. პოლიტიკური ეკონომიის კრიტიკისათვის. წინასიტყვაობა. კ. მარქსი, ფ. ენგელსი. რჩეული ნაწერები, ტ. 1, 1975.

ფ. ენგელსი. კარლ მარქსი. კ. მარქსი, ფ. ენგელსი. რჩეული ნაწერები. ტ. 2, 1964.

ფ. ენგელსი. სიტყვა, წარმოთქმული მარქსის სიფლავზე. კ. მარქსი, ფ. ენგელსი. რჩეული ნაწერები, ტ. 2, 1964.

ვ. ი. ლენინი. კარლ მარქსი. თხზ., ტ. 21.

ვ. ი. ლენინი. მარქსიზმის სამი წყარო და სამი შემადგენელი ნაწილი. თხზ., ტ. 19.

ი. ვ. სტალინი. კარლ მარქსის მოძღვრება და სსრ კავშირში სოციალისტური მშენებლობის ზოგიერთი საკითხი. ჟურნალი „საქართველოს კომუნისტი“, 1983, წ. № 3.

ბ. ნ. პონომარიოვი. მოხსენება კარლ მარქსის დაბადების 165 და გარდაცვალების 100 წლისთავისადმი მიძღვნილ საზეიმო სხდომაზე მოსკოვში 1983 წლის 30 მარტს. „კომუნისტი“, 1983 წლის 31 მარტი.

მიმართვა

უკანასკნელ ხანს იმპერიალიზმის ყველაზე აგრესიული ძალები, უწინარეს ყოვლისა, ამერიკის შეერთებული შტატების რეაქციული წრეების მოქმედების შედეგად მკვეთრად გაუარესდა საერთაშორისო ვითარება. იმპერიალიზმს იმედი აქვს, რომ თავის სასარგებლოდ შეცვლის ნატოსა და ვარშავის ხელშეკრულების ქვეყნებს, ამერიკის შეერთებულ შტატებსა და სსრ კავშირს შორის სამხედრო ძალების წონასწორობას, აძლიერებს გამალებულ შეიარაღებას. ვაშინგტონის ინიციატივით გაჩაღდა ფსიქოლოგიური ომი, ცდილობენ მოაწყონ „ჯვაროსნული ლაშქრობა“ სსრ კავშირისა და მსოფლიო სოციალიზმის წინააღმდეგ. გაიზარდა საფრთხე ქვეყნად მშვიდობისადმი. და ეს ყველა პატიოსანი ადამიანის დიდ შეშფოთებას იწვევს.

თავის გლობალურ სტრატეგიაში იმპერიალიზმი ფართოდ იყენებს საერთაშორისო სიონიზმს, როგორც ერთ-ერთ დამკვრელ რაზმს სოციალიზმისა და ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის, მშვიდობისა და სოციალური პროგრესის ძალების წინააღმდეგ შეტევისათვის.

პოლიტიკური ავანტიურიზმი, არაბული ტერიტორიების ოკუპაცია, სამხედრო აგრესია სუვერენული ლიბანის წინააღმდეგ. ათიათასობით დახოცილი და დაჭრილი მშვიდობიანი მცხოვრები, ხოცვა-ჟლეტა საბრისა და შათილის პალესტინელ ლტოლვილთა ბანაკებში, ძალადობა და წამება ანსარისა და სხვა საკონცენტრაციო ბანაკებში — ყველა ამ ბოროტმქმედებისათვის პასუხს აგებენ ისრაელის მმართველები, საერთაშორისო სიონიზმის ლიდერები.

ამ დანაშაულმა ყველგან აღაშფოთა მთელი ნამდვილად დემოკრატიული ძალები და სხვადასხვა პოლიტიკური ორიენტაციის ორგანიზაციები, რელიგიური წრეები, ავტორიტეტიანი მთავრობის მოღვაწეები, კეთილი ნების ყველა ადამიანი.

ისრაელ სიონისტთა უგუნურ, ავანტიურისტულ პოლიტიკას მარტო არაბი ხალხებისათვის როდი მოაქვს უბედურება და ტანჯვა. იგი ძირეულად ეწინააღმდეგება ახლო აღმოსავლეთში სამართლიანი და მტკიცე მშვიდობის დამყარების მიზნებს, ამით კი თვით ისრაელის საარსებო ინტერესებსაც. ამის მიუხედავად, ბეგინი და მისი ხროვა განაგრძობენ ექსპანსიასა და პოლიტიკურ ტერორს ამერიკის იმპერიალიზმისა და საერთაშორისო სიონიზმის მხარდაჭერითა და დახმარებით.

თავისი არსით სიონიზმში თავმოყრილია უკიდურესი ნაციონალიზმი, შოვინიზმი და რასობრივი შეუწყნარებლობა, ტერიტორიული დაპყრობებისა და ანექსიების, შეიარაღებული ავანტიურიზმის გამართლება, პოლიტიკური თ

მეგობრობით ვართ ძლიერი

რესპუბლიკის დედაქალაქის კალინინის რაიონის პედაგოგებსა და მასწავლებლებს ეწვივნენ მარნეულის რაიონის სოფელ ყაჩაღნის საშუალო სკოლის მასწავლებლები და მოსწავლეები, რომლებსაც თბილისელები შეფობას უწევენ.

ეს იყო საპასუხო ვიზიტი: პირველ ვიზიტად, რომელმაც საფუძველი ჩაუყარა ნაცნობობას, თბილისელი მასწავლებლები და მოსწავლეები ეწვივნენ ყაჩაღნელებს. მასპინძლები გულთბილად მიეგებნენ სტუმრებს თბილისის ერთ-ერთ კოლორიტულ კუთხეში — ბარათაშვილის ქუჩაზე. დამხვდურთა შორის იყვნენ პარტიის კალინინის რაიკომის მეორე მდივანი ჯ. ვაჩეიშვილი, რაიონის სახალხო განათლების ორგანოების ხელმძღვანელი მუშაკები, პიონერები და მოსწავლეები, მშობლები.

თბილისში ჩამოსულმა მარნეულელმა მასწავლებლებმა და მოსწავლეებმა დაათვალიერეს ბავშვთა სურათების გალერეა, საქართველოს ს. ჯანაშიას სახელობის სახელმწიფო მუზეუმი, საქართველოს ხალხური შემოქმედების მუზეუმი, ეწვივნენ ბ. ძნელაძის სახელობის პიონერთა და მოსწავლეთა რესპუბლიკურ სასახლეს, პირველ საშუალო სკოლას.

სოფელ ყაჩაღნის სკოლის მეათე კლასის მოსწავლე რასან შახვერდიევი ოცნებობს მხატვარი გახდეს. თბილისში იგი არაერთგზის ყოფილა სურათების სახელმწიფო გალერეაში, ხოლო ბავშვთა ნამუშევრების გალერეა პირველად ნახა.

— შინ თბილისს დავხატავ, — რასანი გვიჩვენებს ჩანახატებს, — იმ ადგილებს, სადაც ვიყავით. აი ცეკვა პიონერთა სასახლის სარკეებიან დარბაზში. მას ბავშვთა სურათების გალერეისათვის დავხატავ.

— პერსპექტიული გეგმა, რომლის შესაბამისად საშეფო ურთიერთობა უნდა განვითარდეს და განმტკიცდეს, ითვალისწინებს მარნეულელი კოლეგებისათვის დახმარებას სასწავლო-მეთოდიკური მუშაობის სრულყოფაში, აკადემიური წარმატების შემდგომ ამაღლებაში, — უთხრა საქინფორმის კორესპონდენტს კალინინის რაიონის სახალხო განათლების განყოფილების გამგემ ე. ძნელაძემ. ეს გეგმა გათვალისწინებულია რამდენიმე წლისათვის. დასახულია ამ მუშაობაში ჩავაბათ რაიონის სხვა სკოლებიც, მოვაწყოთ ერთობლივი სემინარები, ინტერნაციონალური მეგობრობის საღამოები, ლაშქრობანი საბჭოთა ხალხის საბრძოლო და შრომითი დიდების ადგილებში, ექსკურსიები და სპორტული ღონისძიებანი.

სურათზე: თბილისის № 1 საშუალო სკოლისა და მარნეულის რაიონის ყაჩაღნის საშუალო სკოლის მოსწავლეთა შეხვედრა თბილისში.

3. მორგუნოვის ფოტო (საინფორმის ფოტოქრონიკა).

პრეტენდენტთა მაცნეები

ლვოვი. (ჩვენი სპეც. კორ.). გაფრინდაშვილ-ლევიტინას მატჩის მეცხრე პარტიის წინ მეტოქეების წინააღ განსხვავებული ამოცანები იდგა. თეორიას ერთი გადმოსავალიც ჰქონდათ —ოგზებს! ამიტომ ბევრისთვის შესაძლოა გაუგებარი დარჩა ის მრავალრიცხოვანი ვაცვალა, რომელსაც დაესწყისში მსოფლიო ექსჩემპიონმა მიმართა. უკვე მეექვსე სვლაზე დაფიდან გაქრნენ ლაზიერები, მას ორ-ორი მსუბუქი ფიგურაც მიაყვა. შეიქმნა მთაბეჭდილება, თითქოს მეტოქეებს საერთოდ „გამოეტოვებინოთ“ მიტელშპილი — დებიუტიდან პირდაპირ ენდშპილში გადავიდნენ.

არა, ნონა გაფრინდაშვილი არ შემცდარა! მან მოწინააღმდეგეზე (და მრავალრიცხოვან ექსპერტებზეც!) უკეთ შეიფასა შექმნილი პოზიცია, სადაც თეორეტიკოსებს მოგებისათვის ბრძოლის საშუალება ჰქონდათ. ქართველმა მოჭადრაკემ ტაქტიკური ოპერაციის შედეგად ცენტრში მიიღო გამსვლელი პიაკი, რომელიც მაგვების გაძლიერებულ ყურადღებას მოითხოვდა. ლევიტინამ საკუთარი მხედარი კუში გაცვალა და ხსნის ოთხი ეტლის დაბოლოებაში ეძიებდა. აქ იგი რამდენადმე შეფერხდა, გაფრინდაშვილი კი, პირიქით, მეტად ენერგიულად თამაშობდა. სანამ მაგი ეტლები ლაზიერების ფრთაზე დაბანდნენ, გაფრინდაშვილმა კომბინირებული იერიში დაიწყო ლევიტინას მეფის წინააღმდეგ. მეფის დაცვა შავებმა კი მოახერხეს, მაგრამ ამასობაში თავისი „გადამწყვეტი სიტყვა თქვა“ გაფრინდაშვილის გამსვლელმა პაიკმა. ლენინგრადელს მისი შეჩერების ცდაში მატერიალური მსხვერპლის გაღება მოუწია. ყველაფერი გადაწყვეტილი იყო და 42-ე სვლაზე ლევიტინამ გააჩერა საათი.

მეცხრე პარტია

გაფრინდაშვილი — ლევიტინა

ლაზიერის მიღებული გამბიტი

1. d4 d5 2. c4 d×c4 3. ∃f3 c5 4. d5 e6 5. ∃c3 e×d5 6. ل×d5 ل×d5 7. ∃×d5 ∠d6 8. ∃d2 ∃e7 9. ∃×c4 ∃×d5 10. ∃×d6+ ∃ψe7 11. ∃×c8+ ∂×c8 12. ∠g5+ f6 13. 0-0-0 ∂d8 14. c4 f×g5 15. e×d5 ∂d6 16. ∠c4 ∂d7 17. ∂he1+∃ψf6 18. b3 ∃e5 19. ∂e4 ∂ad8 20. ∂f1 ∃×c4 21. b×c4 ∂a6 22. ∃ψb2 ∂8d6 23. f4 ∂db6+ 24. ∃ψa1 ∂a4 25. f×g5+ ∃ψ×g5 26. ∂e5+ ∃ψh6 27. ∂e6+ g6 28. ∂×b6 a×b6 29. ∂d6 ∂a8 30. ∂b1 ∂d8 31. ∂×b6 ∂d7 32. ∃ψb2 ∃ψg5 33. ∃ψb3 ∃ψf6 34. ∃ψa4 ∃ψe5 35. ∃ψb5 ∃ψd4 36. a4 h5 37. a5 ∂f7 38. a6 b×a6 39. ∂×a6 g5 40. ∂a1 ∂f8 41. ∂d1+ ∃ψe5 42. d7.

შავები დანებდნენ.

ამრიგად, მდგომარეობა მეტისმეტად დაიძაბა. ანგარიში გახდა 5:4 ლევიტინას სასარგებლოდ. ახლა ჩვენ დღევანდელ, მეათე პარტიას უნდა დაველოდოთ, რომელშიც თეთრებით ლევიტინა ითამაშებს. საკითხი კვლავ ასე დგას: ლევიტინას ხელს აძლევს ყაიმი, გაფრინდაშვილს — მხოლოდ მოგება.

ბერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ქალაქ ბად-კისინგენში გათამაშდა მეოთხედფინალური მატჩების მესამე პარტიები. ვ. კორჩნოიმ (შეიღებოდა) მესამე პარტია მოუგო ლ. პორტიშს (უნგრეთი) და ახლა ანგარიშია 2,5:0,5 მის სასარგებლოდ. ლიდია სემიონოვაცა (სსრ კავშირი) და მარგარეტ მურეშანის (რუმინეთი) მესამე პარტია გადაიდო.

ჟიუ-დო. მოსკოვში დამთავრებულ ჭაბუკთა საკავშირო შეჯიბრებაში პირველობა მოიპოვეს საქართველოს წარმომადგენლებმა კ. ამბოკაძემ (75 კილოგრამამდე წონითი კატეგორია) და ვ. პარუხავშვილმა (83 კგ).

ჭადრაკი. ვილნიუსში დამთავრდა პიონერთა სასახლეების მოჭადრაკეთა გუნდების VII საკავშირო შეჯიბრება გაზეთ „კომსომოლსკაია პრავდის“ პრიზზე. პირველობას დაეუფლნენ ლენინგრადელები — 47 ქულა. მომდევნო ადგილებზე გამოვიდნენ მოსკოველები (38 ქულა), ხარკოველები (35), ნოვოსიბირსკელები (31), თბილისელები (30) და ვილნიუსელები (29 ქულა).

სპორტული ტანვარჯიში. რიგაში დამთავრდა ტრადიციული საერთაშორისო შეჯიბრება, რომლის ბოლო დღეს გამოვლინდნენ ცალკეულ იარაღებზე გამარჯვებულნი. ვაჟთა შორის ეროვნელმა ა. აკოპიანმა პირველობა მოიპოვა თავისუფალ ვარჯიშში (19,45 ქულა), მანვე იაპონელ ხ. ნორიტოსისთან ერთად პირველი-მეორე ადგილი გაიყო ბჯენით ხტომაში (19,175-19,175). მინსკელი პ. სუტი უძლიერესი იყო ორძელზე და რგოლებით ვარჯიშში (19,25 და 19,2). რგოლებზე ვარჯიშში მოსკოველმა ა. ტკაჩოვმაც 19,2 ქულა დააგროვა. ჩინელმა ია იუეშანმა ყველას აჯობა ტაიჭზე ვარჯიშში (19,1), ხოლო ხ. ნორიტოსისთან ერთად პირველი-მეორე ადგილები გაინაწილა ღერძზე ვარჯიშში (19,45). ქალთა შორის პირველი ადგილები დაიკავეს: ბრიანსკელმა ტ. ფროლოვამ და ხარკოველმა ა. მისნიკმა (თავისუფალ ვარჯიშში — 19,5-19,5 ქულა), ალმაათელმა ნ. ილიინკომ (ღვარზე ვარჯიშში — 19,95), კუბელმა ლ. პრიეტომ (ბჯენით ხტომა — 19,175) და ჩეხოსლოვაკიელმა ჰ. რიჩნამ (ორძელზე ვარჯიშში — 19,3).

ბერნში ფეხბურთის საერთაშორისო ფედერაციის (ფიფა) სპეციალურმა კომისიამ გ. ნორიბერგერის თავმჯდომარეობით იმსჯელა იმის თაობაზე, თუ სად გაიმართოს 1986 წლის მსოფლიო ჩემპიონატი. კომისიამ გადაწყვიტა განსახილველად დატოვოს მხოლოდ მექსიკის კანდიდატურა. რაც შეეხებათ ამერიკის შეერთებული შტატებისა და კანადის კანდიდატურებს, კომისიამ აღნიშნა, რომ ეს ქვეყნები მსოფლიო ჩემპიონატს ვერ უმასპინძლებს, ვინაიდან ისინი „ძალიან შორს არიან იმ ნორმებისაგან, რომლებიც დადგენილია ფიფას აღმასრულებელი კომიტეტის მიერ“. კომისიის წევრები 11-18 აპრილს იმოგზაურებენ მექსიკაში და თავის დასკვნას წარუდგენენ ფიფას აღმასკომს, რომლის სხდომა 20 მაისს გაიმართება. საბოლოოდ სწორედ აქ გადაწყდება მომავალი მსოფლიო ჩემპიონატის გამართვის ადგილი.

დარჩა ერთი კანდიდატურა

ამინდი

ქაბი ყვავილობისა

გვიჟვია გაზაფხულის მეორე თვე აპრილი — ყიმი ყვავილობისა და სიმწვანისა. აპრილი ჩვენს განედებზე მზის პირდაპირ რადიაციის ზრდითა და ტემპერატურის მნიშვნელოვანი მომატებით ხასიათდება.

კლიმატური მონაცემებით, საქართველოს ტერიტორიიზე ჰაერის საშუალო ტემპერატურა აპრილში პარტათან შედარებით 3-6 გრადუსით მეტია. დაბლობ რაიონებში იგი მერყეობს 8-13, მთიან რაიონებში 0-დან 9, ხოლო მაღალმთიან რაიონებში 1-6 გრადუსის ფარგლებში. ცალკეულ წლებში იგი მრავალწლიური ნორმისაგან მკვეთრად განსხვავდება. უკანასკნელი 30 წლის განმავლობაში ყველაზე თბილი და მშრალი აპრილი იყო 1950 და 1975 წლებში, ხოლო ყველაზე ცივი და წვიმიანი — 1978 წელს.

ტემპერატურის აბსოლუტურმა მაქსიმუმმა დაბლობ რაიონებში შეიძლება მიაღწიოს 34-39 გრადუსს, ხოლო აბსოლუტურმა მინიმუმმა შეიძლება დაიწიოს კოლხეთის დაბლობზე 1-5, ხოლო ქართლსა და კახეთში 5-10 გრადუს ყინვამდე.

ნალექების თვიური ჯამი, მრავალწლიური მონაცემებით, რესპუბლიკის ტერიტორიის უმეტეს ნაწილზე მერყეობს 50-დან 150 მილიმეტრამდე, აღსანიშნავია, რომ უკანასკნელი თხუთმეტი წლის მანძილზე საქართველოში ორჯერ იყო აპრილის თვე ნორმალიური — 1968 წლის აპრილში აღინიშნა ძლიერი წყალდიდობა მდინარე მტკვრის თითქმის მთელ აუზში. 1982 წლის 1 და 2 აპრილს ძლიერი წვიმებისა და მაღალ ზონებში თოვლის ინტენსიურ დნობასთან დაკავშირებით უჩვეულო წყალდიდობა აღინიშნა დასავლეთ საქართველოს უმეტესი მდინარეების აუზში და მათმა დონემ და ხარჯმა აქამდე აღნიშნულ მაქსიმუმს გადააჭარბა.

აპრილის თვისათვის რეკორდული იყო (უკანასკნელ 100 წელიწადში) 1982 წლის 29 აპრილს ღამით ძლიერი კოკისპირული წვიმის შედეგად მოსული ნალექის რაოდენობა ქ. თბილისის ბევრ რაიონში (დიღომში 98 მმ). აღსანიშნავია, რომ ქალაქის გარეუბანში — აეროპორტში იმ ღამეს წვიმა საერთოდ არ მოსულა. ამ ღამესვე დაისტეფანოზ ჯახეთში ათასობით ჰექტარი ფართობი ვენახი და სხვა სასოფლო-სამეურნეო კულტურები.

როგორი ამინდია მოსალოდნელი მომდინარე წლის აპრილში? თბილისის ამინდის ბიუროს გრძელვადიანი პროგნოზის მიხედვით, ჰაერის საშუალო თვიური ტემპერატურა მოსალოდნელია ნორმაზე მაღალი.

თვის ცალკეულ დღეებში მოსალოდნელია დღის ტემპერატურის მომატება დაბლობ რაიონებში 23-28 გრადუსამდე (დასავლეთ საქართველოში ზოგან 29-30 გრადუსამდე), მთიან რაიონებში 20-25, მაღალმთიანეთში კი 15-20 გრადუსამდე.

ნალექების თვიური რაოდენობა მოსალოდნელია ნორმაზე ნაკლები, ზოგან ნორმასთან ახლოს.

ვ. კოპლატაძე,

საქართველოს ჰიდრომეტეოროლოგიისა და გარემოს კონტროლის რესპუბლიკური სამმართველოს ჰიდრომეტეოროლოგიურ უწყებათაშორისო განყოფილების უფროსი.

სამართალდარღვევა: ვინ აგებს პასუხს?

რედაქციას უპასუხებს საქართველოს სსრ ხორცისა და რძის მრეწველობის მინისტრის მოადგილე დ. ბახტაძე

რედაქციაში გამოგზავნილ პასუხში ნათქვამია: გაზეთ „კომუნისტის“ 2 მარტის ნომერში გამოქვეყნებულ მასალაში „სამართალდარღვევა: ვინ აგებს პასუხს?“ ლაპარაკი იყო სოხუმის რძის ქარხნის მუშის ნიკოლოზ სემიონოვის და უსაქმურ ისმაილ კაზაჩენკოს მიერ სოხუმ-თბილისის მატარებლის მგზავრთა გაქურდვის შესახებ.

წერილში მოყვანილი ფაქტი დადასტურდა. რკინიგზის სადგურ სამტრედიის შინაგან საქმეთა განყოფილება გვატყობინებს, რომ მათ აღძრეს სისხლის სამართლის საქმე ნ. სემიონოვისა და ი. კაზაჩენკოს მიმართ მოქალაქე საგინაძის პირადი ნივთების ქურდობისათვის.

ნ. სემიონოვის საქციელის გამო მკაცრად იმსჯელა სოხუმის რძის ქარხნის საერთო კრებამ. ქარხნის პარტიულმა, კომკავშირულმა და პროფკავშირულმა ორგანიზაციებმა განახორციელეს სათანადო ღონისძიებანი კოლექტივში შრომის დისციპლინის განმტკიცებისა და პოლტალმზრდელობითი მუშაობის გაუმჯობესებისათვის.

რედაქტორი

გ. ბედინეიშვილი.

ცისფერ ეკრანზე

საქართველოს ტელევიზიის ერთი ქვირის პროგრამა



ორშაბათი, 4 აპრილი

პირველი პროგრამა. 16.05 — მოსწავლეთათვის — რუსული ენა. 16.35 — მულტიპლიკაციური ფილმი „ჩიპის თავგადასავალი“. 16.55 — მოსწავლეთათვის — სამართლისმეცოდნეობა. 17.25 — განცხადებები. 17.30 — დოკუმენტური ეკრანი. 17.40 — მოსწავლეთათვის — კონცერტი. 18.25 — „გლობუსი“. 19.20 — „სასწრაფომ არ უნდა დაიგვიანოს“. 19.45 — „დღეს მსოფლიოში“ (მ.). 20.00 — „მოამბე“. 20.45 — „ხალხური შემოქმედება“ კონცერტი. 21.30 — „თბილისის ძველი უბნების ახალი სიცოცხლე“. 22.00 — „ვრქშაყ. 22.35 — „საქართველოს საფეხბურთო პირველობაზე“. 22.55 — „ვესტნიკი“.

მეორე პროგრამა. 17.45 — დოკუმენტური ეკრანი. 18.00 — მოსწავლეთათვის — საქართველოს ისტორია. 18.30 — „მეგობრების ეკრანი“. ჩეხოსლოვაკიური მხატვრული ფილმი „ხანმოკლე მოგზაურობა“. 19.45 — განცხადებები.

სამშაბათი, 5 აპრილი

პირველი პროგრამა. 9.00 — „ვრემია“ 9.40 — „ჩვენს დიად სამშობლოში“ — სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „უსასრულო გზა“. 10.00 — „მოამბე“. 10.45 — დოკუმენტური ეკრანი. 11.15 — „ხალხური შემოქმედება“, „ლექსო ამოგთქომ“. 11.55 — სამეცნიერო-პოპულარული ფილმი „ძველი ახალი სამყარო“. 13.30 — ქართული ენის ტელეკურსი. 15.15 — „ვესტნიკი“ (საინფორმაციო პროგრამა). 16.00 — შეკვისწავლეთ ინგლისური ენა. 16.30 — მულტიპლიკაციური ფილმი „რატომ სპილოები“. 16.50 — „მოძმე რესპუბლიკების საესტრადო ხელოვნება“. 17.30 — მოსწავლეთათვის „კინომოზაიკა“. 18.15 — „პიონერია“. ალექსანდრე მეჟიროვი. 18.55 — ციკლიდან „კომუნისტები“ ქართული სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „მესხეთი ჩემი მხარე“. 19.25 — „პირველადი პარტიული ორგანიზაციის ავტორიტეტი“. „მებრძოლურობა“. 19.40 — „მოამბე“. 20.25 — ფეხბურთი სსრ კავშირის პირველობაზე. ვილნიუსის „ულგირისი“ — თბილისის „დინამო“. 21.15 — ო. თაქაიშვილი. სცენები ოპერიდან „თთვარის მოტაცება“. 23.30 — საღამოს მელოდიები. 23.55 — უკანასკნელი ცნობები.

სამშაბათი, 5 აპრილი

6.08 — უკანასკნელი ცნობები. 6.38 — ჩვენი მთა-ბარის პანგები. 6.50 — „სოფლის დილა“. 7.30 — რადიოგაზეთი „საქართველოს პიონერი“. 8.00 — გაზეთ „პრავდის“ მიმოხილვა (მ.). 8.37 — მელოდიიდან მელოდიამდე. 9.25 — ქართული რესპუბლიკური გაზეთების მიმოხილვა. 9.37 — რუსული რესპუბლიკური გაზეთების ფურცლებზე. 9.45 — ს. ცინცაძე. ფრაგმენტები ბალეტიდან „დემონი“. 11.15 — „პარტიული ცხოვრება“. „ჩვენ ირაღდანი, რომელიც უნდა აანთოთ“. 11.30 — გაზეთ „პრავდის“ მიმოხილვა. 12.15 — ქართული ხალხური სიმღერები. 12.25 — „პოეზია უპირველეს ყოვლისა“ ვაჟა-ფშაველას ლექსები. 12.30 — ფ. ლისტი. პიესები საფორტეპიანო ციკლიდან „მოგზაურობის წლები“. 13.30 — „ლიტერატურული კითხვა“. ჭ. ამირეჯიბი, „დათა თუთაშხია“. 14.05 — უკრავს ახალგაზრდა ვიოლონჩელისტი ნ. ბაგრატიონ-მუხრანელი. 14.35 — „ეროვნული ორკესტრი“. 15.00 — „ეროვნული ენციკლოპედია“. 15.15 — „ეროვნული ენციკლოპედია“. 15.30 — „ეროვნული ენციკლოპედია“. 15.45 — „ეროვნული ენციკლოპედია“. 16.00 — „ეროვნული ენციკლოპედია“. 16.15 — „ეროვნული ენციკლოპედია“. 16.30 — „ეროვნული ენციკლოპედია“. 16.45 — „ეროვნული ენციკლოპედია“. 17.00 — „ეროვნული ენციკლოპედია“. 17.15 — „ეროვნული ენციკლოპედია“. 17.30 — „ეროვნული ენციკლოპედია“. 17.45 — „ეროვნული ენციკლოპედია“. 18.00 — „ეროვნული ენციკლოპედია“. 18.15 — „ეროვნული ენციკლოპედია“. 18.30 — „ეროვნული ენციკლოპედია“. 18.45 — „ეროვნული ენციკლოპედია“. 19.00 — „ეროვნული ენციკლოპედია“. 19.15 — „ეროვნული ენციკლოპედია“. 19.30 — „ეროვნული ენციკლოპედია“. 19.45 — „ეროვნული ენციკლოპედია“. 20.00 — „ეროვნული ენციკლოპედია“. 20.15 — „ეროვნული ენციკლოპედია“. 20.30 — „ეროვნული ენციკლოპედია“. 20.45 — „ეროვნული ენციკლოპედია“. 21.00 — „ეროვნული ენციკლოპედია“. 21.15 — „ეროვნული ენციკლოპედია“. 21.30 — „ეროვნული ენციკლოპედია“. 21.45 — „ეროვნული ენციკლოპედია“. 22.00 — „ეროვნული ენციკლოპედია“. 22.15 — „ეროვნული ენციკლოპედია“. 22.30 — „ეროვნული ენციკლოპედია“. 22.45 — „ეროვნული ენციკლოპედია“. 23.00 — „ეროვნული ენციკლოპედია“. 23.15 — „ეროვნული ენციკლოპედია“. 23.30 — „ეროვნული ენციკლოპედია“. 23.45 — „ეროვნული ენციკლოპედია“. 24.00 — „ეროვნული ენციკლოპედია“.

ოთხშაბათი, 6 აპრილი

პირველი პროგრამა. 9.00 — „ვრემია“ 9.40 — „ჩვენს დიად სამშობლოში“ — სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „კეთილ საქმეთა ნაპირი“. 10.00 — „მოამბე“. 10.45 — დოკუმენტური ეკრანი. 11.20 — „მოგზაურთა კლუბი“ (მ.). 12.20 — დოკუმენტური ეკრანი. 13.20 — კინოჟურნალი „მეცნიერება და ტექნიკა“. 13.30 — მათემატიკის ტელეკურსი. 15.15 — „ვესტნიკი“ — საინფორმაციო პროგრამა. 16.00 — შეკვისწავლეთ გერმანული ენა. 16.30 — მულტიპლიკაციური ფილმი — „ნესტერკა“. 16.50 — „გასტროლების შემდეგ“ (საქართველოს სახელმწიფო კვარტეტი). 17.35 — მოსწავლეთათვის „მე კომკავშრილი ვარ“. 18.05 — კინონარკვევი „ჯანმრთელობის ქალაქი“. 18.15 — „მეცნიერების სამყაროში“. 18.55 — ციკლიდან „კომუნისტები“ — ქართული სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „რექტორი“. 19.25 — „პირველადი პარტიული ორგანიზაციის ავტორიტეტი“ — „მასებთან კავშირში“. 19.45 — დღეს მსოფლიოში (მ.). 20.00 — „მოამბე“. 20.45 — გადაცემა „გეგმა კანონია“. 20.55 — „თბილისქალაქობა“ (საზეიმო კონცერტი). 22.00 — „ვრემია“. 22.35 — კონცერტი — „მღერის ნანი ბრეგვაძე“. 23.10 — „ვესტნიკი“.

მეორე პროგრამა. 17.05 — მულტიპლიკაციური ფილმი — „თავი ქუდში მაქვს“. 17.20 — მოსწავლეთათვის — ქართული ლიტერატურა. 18.05 — დოკუმენტური ეკრანი „მდინარე პეჩორასთან“. 18.20 — მოსწავლეთათვის — მათემატიკა. 19.05 — მოკლემეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „სად განახავთ, სად გაგიგონიათ“. 19.35 — განცხადებები.

ხუთშაბათი, 7 აპრილი

პირველი პროგრამა. 9.00 — „ვრემია“ 9.40 — „ჩვენს დიად სამშობლოში“ — სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „ქალაქი კარპატებთან“. 10.00 — „მოამბე“. 10.45 — კინონარკვევი — „ხმაური“. 11.00 — მეხუთეკლასელთათვის — მათემატიკა. 11.30 — ქართული სატელევიზიო ფილმები „ეკეკვეს ლატვერა ფონინანი“ და „პომმა ტრფიალებისა“. 12.30 — დოკუმენტური ეკრანი. 13.30 — აბიტურიენტთათვის — ბიოლოგია. 15.15 — „ვესტნიკი“ — საინფორმაციო პროგრამა. 16.00 — შეკვისწავლოთ ფრანგული ენა. 16.30 — მულტიპლიკაციური ფილმები „ვინ თუ არა შენ“, „ნასწავლი მეთევზეები“. 16.50 — — მოსწავლეთათვის — „ხალხური მელოდიები“. 17.20 — „პირველადი პარტიული ორგანიზაციის ავტორიტეტი“. 17.35 — ქართული სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „34 წუთი საქართველოს შესახებ“. 18.15 — „მოამბე“. 19.00 — საქართველოს ხელოვნების ოსტატთა კონცერტი. 20.30 — ციკლიდან „კომუნისტები“ — ქართული სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „ნოდარ დუმბაძე“. 21.00 — „საკავშირო სამეცნიერო პრაქტიკული კონფერენციაზე“. 22.00 — „ვრემია“. 22.35 — „რუსული რომანსის საღამო“. 23.25 — „ვესტნიკი“.

მეორე პროგრამა. 17.05 — დოკუმენტური ეკრანი. 17.40 — მოსწავლეთათვის — „ხალხური მელოდიები“. 18.20 — „ჩვენ ვიცოდეთ“. 18.35 — ინგლისური ენა. 19.05 — „ეროვნული ენციკლოპედია“. 19.35 — „ეროვნული ენციკლოპედია“. 20.05 — „ეროვნული ენციკლოპედია“. 20.45 — „ეროვნული ენციკლოპედია“. 21.05 — „ეროვნული ენციკლოპედია“. 21.25 — „ეროვნული ენციკლოპედია“. 21.50 — „ეროვნული ენციკლოპედია“. 22.00 — „ეროვნული ენციკლოპედია“. 22.15 — „ეროვნული ენციკლოპედია“. 22.30 — „ეროვნული ენციკლოპედია“. 22.45 — „ეროვნული ენციკლოპედია“. 23.00 — „ეროვნული ენციკლოპედია“. 23.15 — „ეროვნული ენციკლოპედია“. 23.30 — „ეროვნული ენციკლოპედია“. 23.45 — „ეროვნული ენციკლოპედია“. 24.00 — „ეროვნული ენციკლოპედია“.

პარასკევი, 8 აპრილი

პირველი პროგრამა. 9.00 — „ვრემია“ 9.40 — „ჩვენს დიად სამშობლოში“ — კინონარკვევი „ქალაქი ენისეიზე“. 10.00 — „მოამბე“. 10.45 — დოკუმენტური ეკრანი. 11.25 — ი. შტრაუსის სახელობის ვენის კამერული ორკესტრის კონცერტი (მ.). 12.25 — „კინოჟურნალი „ვარსკვლავა № 30“. 13.30 — ფიზიკის ტელეკურსი. 15.15 — „ვესტნიკი“ — საინფორმაციო პროგრამა. 16.00 — ტელეკურსელთათვის — საშინაო დავალების ანალიზი — მათემატიკაში. 16.30 — მულტიპლიკაციური ფილმების პროგრამა. 16.55 — განცხადებები. 17.00 — „ვემზადოთ სსრ კავშირის ხალხთა სპარტაკიადისათვის“. (თავისუფალი ჭიდაობა). 17.40 — ქართული სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „კუმლი“. 18.10— „ხალხური შემოქმედება“ — კონცერტი. 18.30 — „ჩაი-83“. 18.50 — „საუნჯე“. 19.15 — „მოამბე“. 20.00 — ფეხბურთი სსრ კავშირის პირველობაზე. მინსკის „დინამო“ — თბილისის „დინამო“. გადაცემა მინსკიდან. შესვენების დროს — „კოლექტიური მეურნეობის წევრთა დასახმარებლად. 22.00— „ვრემია“. 22.35 — „საქართველოს სანაოსნო — ცისფერ გზებზე“. 22.40 .— „მეც თბილისელი ვარ“. 23.40 — „ვესტნიკი“.

მეორე პროგრამა. 17.05 — მულტიპლიკაციური ფილმების პროგრამა. 17.30 — მოსწავლეთათვის — ფიზიკა. 18.00 — დოკუმენტური ეკრანი. 18.25 — მხატვრული ფილმი „ცისფერსაფირონიანი ბეჭედი“. 19.30 — განცხადებები.

შაბათი, 9 აპრილი

პირველი პროგრამა. 9.00 — „ვრემია“ 9.40 — „ჩვენს დიად სამშობლოში“ — კინონარკვევი „მამისეული სახლის ზღურბლი“. 10.00 — „მოამბე“. 10.45 — შეკვისწავლოთ ქართული ენა 11.15 — „ხალხური შემოქმედება“ — სიმღერის შესწავლა („ქალაქური სიმღერა“). 11.55 — „პოეზიის ხუთი წუთი“. 12.00 — საბჭოთა არმიის მეომრებისათვის „სამხრეთის საზღვრების სადარაჯოზე“. სატელევიზიო ჟურნალი. 12.45 — „ახალგაზრდა შემოქმედთა სატელევიზიო კლუბი“ — „მთიები ითქმის გამნათებლად“. 13.35 — „სტუდია დიალოგი“. 14.25 — „პოეზიის ხუთი წუთი“. 14.30 — „ბუნების კარი“. 15.15 — „პოეზიის ხუთი წუთი“. 15.20 — „ვესტნიკი“ — საინფორმაციო პროგრამა. 16.05 — ფეხბურთი სსრ კავშირის პირველობაზე. მოსკოვის „ტორპედო“ — ... „ტორპედო“. 8 აპრილის მატჩის ვიდეოჩანაწერი. 16.55 — „პოეზიის ხუთი წუთი“. 17.00 — „ჯანმრთელობა“ — სატელევიზიო პროგრამა. 17.35 — 6. ფუმბაძე „მარადისობის კანონი“. გრიბოედოვის სახელობის სახელმწიფო თეატრის სპექტაკლი. 20.05 — „მოამბე“. 21.05 — პრემიერა სატელევიზიო დოკუმენტური ქართული ფილმისა „შემოდგომის რაპორტაჟი“. (საქართველოს ტელეფილმების სტუდიის ნაწარმოები). 21.25 — სპორტული გადაცემა — „ევროპის სტადიონებზე“. 21.50 — მულტიპლიკაციური ფილმი. 22.00 — „ვრემია“. 22.35 — კონცერტი „მღერის ცისფერი ტრიო“. 23.05 — „ვესტნიკი“.

კვირა, 10 აპრილი

პირველი პროგრამა. 9.00 — „ვრემია“. 9.40 — ქართული სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „ფეხბურთი უბურთოდ“. 10.00 — „მოამბე“. 11.00 — „სამეურნეო მექანიზმი — სიახლენი, პრობლემები“. 11.45 — „საკვირაო გამოფენა“. 11.50 — მულტიპლიკაციური ფილმი — „დიდი ესტაფეტა“. 12.00—„ჯანმრთელობა“ — სამეცნიერო-პოპულარული პროგრამა (მ.). 12.45 — „დილის ფოსტა“ — მუსიკალური ფილმი (მ.). 13.15 — „საკვირაო გამოფენა“. 13.20 — მოსწავლეთათვის — კონცერტი. მღერის „ნერგები“. 13.50 — ქართული ენისა და ლიტერატურის ტელეკურსი — (სტუდიაში — დოცენტი თ. კვაჭანტირაძე). 14.20 — „უკრავს საქართველოს სახელმწიფო კამერული ორკესტრი“ (ხელმძღვანელი ლ. ისაკაძე) — (განმეორებით). 15.10 — „კინოსფიშა“. 15.30 — „ვესტნიკი“ — საინფორმაციო პროგრამა. 16.30 — „საკვირაო გამოფენა“. 16.35 — „ფლეს — ჩვენი ქვეყნის საპაერო თავდაცვის ჯარების დღეა“ (მ.). 16.50 — მხატვრული პროგრამა „ფილმი, მსახიობი, როლი“. 18.55 — „საკვირაო გამოფენა“. 19.00 — „საერთაშორისო პანორამა“ (მ.). 19.45 — „ზღაპრის გუდა“. 20.20 — „მოამბე“. 20.45 — „ლენინური გვარდიის ჯარისკაცები“. ეფრემ ეშბა (დაბადების 90 წლისთავის გამო). 21.15 — უკრავს საქტელევიზიო სიმფონიური კვარტეტი. 22.00 — „ვრემია“. 22.35 — „საფეხბურთო მიმოხილვა“ (მ.). 23.05 — „ვესტნიკი“.

კვირა, 10 აპრილი

პირველი პროგრამა. 9.00 — „ვრემია“. 9.40 — ქართული სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „ფეხბურთი უბურთოდ“. 10.00 — „მოამბე“. 11.00 — „სამეურნეო მექანიზმი — სიახლენი, პრობლემები“. 11.45 — „საკვირაო გამოფენა“. 11.50 — მულტიპლიკაციური ფილმი — „დიდი ესტაფეტა“. 12.00—„ჯანმრთელობა“ — სამეცნიერო-პოპულარული პროგრამა (მ.). 12.45 — „დილის ფოსტა“ — მუსიკალური ფილმი (მ.). 13.15 — „საკვირაო გამოფენა“. 13.20 — მოსწავლეთათვის — კონცერტი. მღერის „ნერგები“. 13.50 — ქართული ენისა და ლიტერატურის ტელეკურსი — (სტუდიაში — დოცენტი თ. კვაჭანტირაძე). 14.20 — „უკრავს საქართველოს სახელმწიფო კამერული ორკესტრი“ (ხელმძღვანელი ლ. ისაკაძე) — (განმეორებით). 15.10 — „კინოსფიშა“. 15.30 — „ვესტნიკი“ — საინფორმაციო პროგრამა. 16.30 — „საკვირაო გამოფენა“. 16.35 — „ფლეს — ჩვენი ქვეყნის საპაერო თავდაცვის ჯარების დღეა“ (მ.). 16.50 — მხატვრული პროგრამა „ფილმი, მსახიობი, როლი“. 18.55 — „საკვირაო გამოფენა“. 19.00 — „საერთაშორისო პანორამა“ (მ.). 19.45 — „ზღაპრის გუდა“. 20.20 — „მოამბე“. 20.45 — „ლენინური გვარდიის ჯარისკაცები“. ეფრემ ეშბა (დაბადების 90 წლისთავის გამო). 21.15 — უკრავს საქტელევიზიო სიმფონიური კვარტეტი. 22.00 — „ვრემია“. 22.35 — „საფეხბურთო მიმოხილვ